

# ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 2

პირა, 12 მარტი

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. 1877--1906 | ადრესი: იფილისი, ფრეილინის ქ., № 5. იფილეთ. № 922.

სარჩამო:—ბოიკოტი?—„ლომების“ ბანაკში, ფ. გოგინაიშვილი-სა.—ძმობაც ასეთი უნდა კ. ა-სი.—პროლეტარიატის დიქტატურა, ა. იზგოვეისა.—თანამედროვე ვითარება, სტუმრისა.—ჰენრიხ ჰეინე, არტურ ლეისტისა.—სახელმწიფო დაზღვევა მუშებისა გერმანიაში, ა—ისა.—მომხმარებელი ამხანაგობა, ნ. ტ—ისა.—ნამუს ახდილი. ვ. შალიკაშვილისა.

## ბოიკოტი?

რევოლუციონური ოპტიმიზმი საზოგადოდ კარგი რამ არის, მაგრამ როცა ეს ოპტიმიზმი ოცნებაზეა დამყარებული, იგი არა თუ კარგი არ არის, არამედ პირდაპირ მავნებელი და ზარალის მომტანია თვით მებრძოლთათვის, — ამას ამბობს ედ. ბერნშტეინი თავის უკანასკნელ წერილში, რომელიც რუსეთის ახლანდელ მდგომარეობას შეეხება და გერმანულ „სოციალისტურ რეველის“ მარტის ნომერშია დაბეჭდილი. და ეს სიტყვები სწორედ ზედ გამოკრილია იმ ქართველ პუბლიცისტებზე, რომლებიც სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტს უცხადებენ და არჩევნებში მონაწილეობის მიღებას უარყოფენ. ამ მწერლებს სურვილი, როგორც გერმანელები იტყვიან, აზრის მამდ გაჰხდომიათ და, რევოლუციონურ ოპტიმიზმით გატაცებულნი, უარყოფენ იმას, რაც დღეს თანამედროვე რეალურ პირობებში შესაძლებელი და თან საქირო და სასარგებლო არის.

გაზ. „ცნობის ფურცლის“ ერთ მეთაურის ავტორი (№ 3019) „წერილფეხა პოლიტიკოსებს“ ეძახის ყველას, ვინც ბოიკოტს არ თანაუგრძნობს და საქიროდ სთვლის სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. და მერე როგორ ასაბუთებს წერილის ავტორი, რომელიც, ალბად, ვინმე „მსხვილფეხა პოლიტიკოსია“, ბოიკოტის სარგებლობას და საქიროებას? აი, იხილეთ: „რუსეთის ბიუროკრატია, — სწერს იგი, — სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას ძალიან აქაჩარებს... ნუ თუ რუსეთის გამოცდილი ბიუროკრატია საკუთარ თავზე ლაფის დასასხმელად იწვევს სათათბიროს, ნუ თუ თვითონვე ავებს მახეს, რომელშიაც თავის მომწვევდევას ცდილობს? არა, მას უნდა შეიძინოს ფიზიკურ ავტორიტეტის სანაცვლოდ ზნეობრივი, რომელიც ბიუროკრატის ბატონობას გაამგრებს და გაამტკიცებს... თუ ბიუროკრატია სათათბიროს მოწვევა მოახერხა, იგი ცოტაოდენ ზნეობრივ ავტორიტეტს შეიძენს, რამდენადმე გაამგრდება; პირიქით, თუ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა ვერ მოახერხა, — იგი საბოლოოდ და სამუდამოდ დამარცხებული იქნება... ვინც იცის და ვინც გრძნობს რა დიდი მსხვერპლი შესწირა რუსეთის მშრომელმა ხალხმა ბიუროკრატის დასამარცხებლად, ვისაც ესმის, რომ ეს ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა, რომ იგი, პირიქით, სწორედ ესლა შედგა თავის უმაღლეს მწვერვალზე, ის არჩევნებში

მონაწილეობას ვერ ურჩევს ხალხს. ხალხის ინტერესებისათვის სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობა დღევანდელს პირობებში საზიანოა და არა სასარგებლო“.

ეს გახლავთ ბოიკოტის „მსხვილფეხური“ დასაბუთება. როგორც ზედათ, ფრიალ მარტივი და ადვილი გასაგებია. ავტორს არ მოსწონს — და აბა ვის მოსწონს იგი? — ისეთი მახინჯი პარლამენტი, როგორც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროა, და სურს, რასაკვირველია, მის ნაცვლად დემოკრატიული კონსტიტუცია. რახან ახლანდელი სათათბირო ბიუროკრატის „ზნეობრივ ავტორიტეტს“ შესძენს და გაამგრებს, ამიტომ საქიროა მოვანერხოთ, რომ იგი ვერ შესდგეს. მაშინ ბიუროკრატია იძულებული გახდება გადადგეს და ხალხს ასპარეზი დაუთმოს. და თუ ეს ნებით არ მოიმოქმედა, რევოლუციური ბრძოლა ძალით აიძულებს. მაშასადამე, დღეს საქიროა ბოიკოტი და არჩევნების უარყოფა.

ამაზე იყო რომ მოგახსენეთ: სურვილი აზრის მამდ გაჰხდომიათ... ავტორს, როცა ამგვარ „პლანს“ ადგენდა, დავიწყებია ერთი უმნიშვნელო გარემოება: შესაძლებელია თუ არა რეალურად ბოიკოტის განხორციელება, რომ არჩევნები არ მოხდეს და ამის გამო სათათბიროს მოწვევა შეუძლებელი შეიქმნეს. სათათბიროს მოწვევის მომხრე რუსეთში მარტო ბიუროკრატია რომ იყოს, მ შინ, რასაკვირველია, ბოიკოტის ქადაგებაც საქირო არ იქნებოდა და სათათბიროს მოწვევის საქმე თავის თავად ჩაიშლებოდა. მაგრამ საქმე ის არას, რომ სათათბიროსა და მასში მონაწილეობის მიღებას ბიუროკრატის გარედაც ჰყავს მომხრეები.

რასაკვირველია, მთავრობა იძულებულია მოიწვიოს სათათბირო, მაგრამ არა მარტო იმიტომ, ვითომ „ზნეობრივ ავტორიტეტს“ ძალიან აფასებდეს, — წინადაც არა ჰქონია ეს „ავტორიტეტი“, მაგრამ ცოცხლობდა არხენად, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ დღეის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოებრივი არსებობა უპარლამენტოდ შეუძლებელია. ახლანდელ სათათბიროში მსხვილ ბურჟუაზიას და თავდაზნაურობას ეძლევა ხმა და გავლენა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში. ბიუროკრატის არ შეუძლია გააუქმოს ან არ მოიწვიოს სათათბირო, ვინაიდან მაშინ ეს საზოგადოებრივ კლასები ისევ რევოლუციონერების მხარეზე გაიწვევენ და ამგვარად 17 ოქტომბრის წინანდელი ვითარება დაიწყება, და, აი, რახან პარლამენტარული ცხოვრება რუსეთში აუცილებელია, ამიტომ დიდად სასარგებლო იქნებოდა დემოკრატიისთვის, რომ ახლანდელ სათათბიროს ჩაშლა შესაძლებელი იყოს. ეს ჩაშლა მაშინ უეჭველად ხალხის უფლების გაფართოებას გამოიწვევდა შედეგად.

მაგრამ ეს მარტო სურვილი არის. ნამდვილად კი ყველა კონსტიტუციონურ პარტიებს გადაწყვეტილი აქვთ სათათბი-

13788

როს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ცხადია, ასეთ გარემოებებში რომელიმე „უკიდურეს“ პარტიისაგან გამოცხადებული ბოიკოტი ნამდვილად ვერ განხორციელდება და ხელს ვერ შეუშლის სათათბიროს შედგენას. რამდენადაც ეს ბოიკოტი პასიურ ხასიათის იქნება, ე. ი. რამდენადაც არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ „უკიდურეს“ პარტიების წევრები იმდენადვე ბოიკოტი ხელს შეუწყობს კონსერვატორებისა და „ზომიერ“ ლიბერალების გამარჯვებას, ვინაიდან „უკიდურესთა“ უმოქმედობით არჩევნებში მონაწილეობის მიმღებ დემოკრატიულ პარტიებს დახმარება და ძალა მოაკლდება. ხოლო ბოიკოტი თუ აქტიურ ხასიათისა იქნა, ე. ი. თუ ბოიკოტის მომხრეებმა სხვა პარტიებსაც დაუშალეს ძალით არჩევნებში მონაწილეობა, მაშინ, უეჭველია, ამ ძალდატანებით გაბრაზებული ლიბერალური წრეები მთავრობას მიეცდნენ და მას ძალას შეჰპატებენ. ორსავე შემთხვევაში მოგებული რჩება ბიუროკრატია და წაგებული — დემოკრატია.

ბოიკოტს არ ამართლებს არავითარი მოსაზრება პოლიტიკური და — კერძოდ ჩვენთვის — ეროვნულიც. ქართველ ხალხს სულ რაღაც 7 თუ 8 წარმომადგენელი უწევს სუთასწევრიან სათათბიროში, და დიდი შეუზღებლობა იქნება ამ მცირე მონაწილეობაზედაც უარი სთქვას და თავის საქიროებაზე ხმა არ ამოიღოს.

ამიტომ ყველა დემოკრატიულ პარტიების მოვალეობას შეადგენს ახლანდელ არჩევნებში რამდენადაც კი შეიძლება, ენერგიული მონაწილეობა მიიღონ, შეთანახმებულად იმოქმედონ, ერთმანეთს კანდიდატების არჩევნებში გამარჯვება მოაპოვებონ და ამგვარად სათათბიროში დემოკრატიულ ელემენტების გაძლიერებას ხელი შეუწყონ.

**„ლომების“ ბანაკში**

„წაქცეულს არ სცემენო“, ამბობენ რუსები. სამართლიანი თქმულებაა: ცემა საზოგადოდ არ არის კარგი საქციელი და მით უფრო არ არის მოსაწონი საქმე ცემა ისეთი კაცისა, რომელიც უკვე წაიქცა, — დამარცხდა და, მაშასადამე, გაქირვებაში ჩავარდა.

მაგრამ ეს ცემის უარყოფა არ ნიშნავს, რასაკვირველია, იმას, რომ საზოგადოდ ყოველი „წაქცევა“ ანუ მარცხი უყურადღებოდ უნდა იქმნეს დატოვებული, „წაქცეულს“ არ უნდა შეეხოთ და მას მარცხის მიზეზები არ განუშარტოთ, განსაკუთრებით როცა მარცხს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, არ შეიძლება ყოველი გულწრფელი მწერალი, რა პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, ვალდებულია კრიტიკულად მოეპყრას თავის საკუთარ პარტიის მოქმედებასაც კი, არათუ უყურადღებოდ დატოვოს მარცხი და შეცდომები სხვა პარტიისა. პოლიტიკური პარტია საზოგადოებრივად მოქმედი ძალაა და ამიტომ მის შეცდომებს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. წარსულში მომხდარ შეცდომების ცნობა და მისი მიზეზების შეგნება აუცილებლად საქიროა პარტიის ნაყოფიერ მოქმედებისათვის მერმისში. მაშასადამე, თუ „წაქცეულის“ ცემა არ არის შესაწყნარებელი, მისი „წაქცევის“ მიზეზების გარკვევა, შეცდომების აღწერა და გამომწვანება დაიღაც საქირო და სასარგებლო არის.

ასეთის აზრით ვხელმძღვანელობდით ჩვენ, როცა „ივერიის“ პირველ ნომერში გაკვირით ჩვენებურ სოციალ-

დემოკრატიის მოქმედებას შევეხეთ და მისი ტაქტიკური შეცდომები აღვნიშნეთ. გვეგონა, უკანასკნელი ამბები პარტიის იდეოლოგიებს ცოტათი გამოაფხიზლებდა და მდგომარეობას უფრო ფხიზელის თვლით დაანახებდა და ამიტომ მოველოდით, რომ ისინი წინანდელ ბაქი-ბუქს უკლებდნენ, თავის რეალურ ძალის აწონ-გაზომვას ისწავლიდნენ.

მაგრამ... მაგრამ რა? უნდა გამოგიტყდეთ, ახლა გვიკვირს კიდევ, თუ როგორ შეგვეპარა გულში ასეთი იმედი. ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიებისაგან უფრო ადრე მოსალოდნელია მარქს-ენგელსის ნაწერების წაკითხვა, ვიდრე ტრაბახსა და ბაქი-ბუქზე ხელის აღება. ჩვენი განზრახვა იმათ ისე გაუგიათ, ვითომ ჩვენ, ტაქტიკური მარცხის გამო, მათი ცემა და „წიხლის ჩაკერა“ გვინდოდეს. „განთიადის“ მეორე ნომერში ერთი მათი ბელადი, რომელიც ორ ასოს — „ს. დ.“ — უკან ფრთხილად იმალება, სწერს: „ივერიის დაესიზმრა ლომის დასწევლება და კრილოვის არაკის ერთი მოქმედი პირისაგან გადმოიღო ოინი, — წიხლი უნდა ჩაჰკრას წაქცეულ მტერსო“. და იმის დასამტკიცებლად, რომ ამ რაინდის იდეოლოგთა ბანაკში ყველანი ჯანსაღად ბრძანდებიან და ლომსავით ღონიერად გრძნობენ თავიანთ თავს, წერილის ავტორი თვითონ ტლინკებს-სროლილობს და ლომის ხმით დაკიჟინებას. ცდილობს. მაგრამ, მისდა გასაბახებლად, ტლ-ნკები მასვე ხვდება რბილ ადგილას, ხოლო ლომებზე გრილისა და კიჟინის მაგივრად მის ყანყურატოდან მოისმის შესაბრალის წრიპინი უღონო და თან უშვერ კაცუნასი, რომელსაც თავისი განებრივი ავლადიდება — ლანძღვა-გინება — „მოგზაურის“ ლექსიკონიდან ამოუკრეფია და ასე „შესანიშნავად“ შეიარაღებული მართლა სჯერა თავისი ძლიერება. როგორც პატარა ბავშვი ჯობზე შეგდება და ჰგონია, — ცხენს მოაქენებს, ისევე ეს „განთიადის“ ბელადიც, „მოგზაურის“ მერანზე შესკულებული, დარწმუნებულია, რომ მისი წრიპინი მძაფრი ხმა გმირისა, რომელსაც წინ ვერა დაუდგება რა. და აბა როგორ არ წამოვიძახოთ გულის ტიკილით: ვაგლახ იმ ბანაკს, რომლის წევრებში ასეთი „ლომები“ არიან!..

„განთიადის“ „ლომს“, რომელიც არა ლომურად სოროში იმალება და იქიდან გამოგვძახის, თურმე ძალიან აინტერესებს თქვენი უმოარჩილეს მონის „გაბურჯება“. „პირველი ივერიის“ ბურჯი იყო თ. ილია ქავევაძე, — სწერს იგი, — ხოლო მეორე „ივერიის“ მესვეურია ბ. ნი ფ. გოგინაიშვილი. ბ. ნი გოგინაიშვილს ისეთი თვისება გამოაჩნდა, რომელიც თვით ქავევაძესაც არ გამოსჩენია თავის დროზე. ის ჟურნალისტურ ასპარეზზე გამოსვლისათანავე გაბურჯდა. მაგრამ, — განაგრძობს ეს ლომი ქართულ ჟურნალისტიკისა, — თ. ილიამ „ბოლოს მიანც დაინახა თავისი წყლის ნაყვა და გამოაიხსნა, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“ და მწერლობას განშორდა. ბ. გოგინაიშვილი კი ვერ ხედავს თავის წყალის ნაყვას და რიხიანად განაგრძობს თავის წინაპრის (ილიას) ხელობას“.

როგორც ხედავთ, ჩვენებურ ლომ სოციალ-დემოკრატებს თურმე ძალიან არ ესიამოვნებათ, რომ მე ჯერ სამწერლო ასპარეზს არ გაეშორებივარ. სჩანს, ისინი მაშინვე და გრძნობენ სიმწვავეს კრიტიკისას. და ჩემთვის ესეც დიდი ნუგეშია, ვინაიდან პატარა საქმე არაა, რომ ლომებმა იგრძნონ ისრები ჩემისთანა უბრალო მომაკვდავისა. სამწუხაროდ, მე არ შემიძლია ვანუგეშო „ლომთა ბანაკი“, — ვაცნობო ჩემი „განშორება მწერლობისაგან“. მე შემდეგშიაც განვაგ-

რძობ, შეძლების დაგვარად, მათი მოქმედების კრიტიკას, და რამდენადაც ეს კრიტიკა მათ აღლელებს და მოთმინებას დააკარგინებს, იმდენადვე მე დარწმუნებული ვიქნები, რომ კრიტიკამ მიზანს მიადგინა და თავიანთ სურათის დასანახავად „ლომებს“ თვალები გაახელინა.

ამ შემთხვევაშიაც საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ „ივერიის“ უკანასკნელმა კრიტიკამ უბრალოდ არ ჩაიარა, „ლომებს“ ბანაკი მის გამო ძალიან აღლელებულა. ამის უტყუარი საბუთია „გინთიადში“ მოთავსებული წერილი ს. დ-ისა. ამ ბელადს ისე მწვავედ უგრძენია „ივერიის“ შენიშვნები, რომ სისხლი თავში ავარდნია, პალუცინაციას შეუპყრია და ასეთ მდგომარეობაში ისეთ რამებს რომავს, რაც ჩვენებურ „ლომებისაგანაც“ კი მოსალოდნელი არაა. ჩვენ თურმე „ბინძური დემაგოგები“ და „მწერლის ტანისამოსში“ გახვეული ხლიგანები“ ვართ, რომელთაც „შუბლის კანი ვაგვამარტობია“. ყველაფერი ეს მოგვსვლია მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატის შეცდომაზე მივუთითეთ და მისი ყალბი ტაქტიკა აღვნიშნეთ.

ჩემი შენ ვითხარო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის! მაგრამ ნუ გავრბით წინ. დავუბრუნდეთ საგანს ერთხელ კიდევ და ვნახოთ, თუ ვინ არის ნამდვილად ბინძური დემაგოგი და ვის გასწყვეტია შუბლზე სირცხვილ-ნამუსის ძარღვი.

ჩვენი მოპირდაპირეები განსაკუთრებით გაულამისებია „ივერიის“ ერთ თანამშრომლის წერილს, სადაც სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი: „ახლანდელი მდგომარეობა კარგი ვაკვეთილია ყოველ პოლიტიკურ პარტიისათვის. იგი გვასწავლის, რომ რეალურ ცხოვრების პირობები მეტად რთულია, არ ემორჩილება საპროგრამო შაბლონებს და ამიტომ ყოველ პარტიის პროკტიკული მოქმედება ნამდვილ ცხოვრებაში არსებულ ურთიერთობასთან უნდა იყოს შეთანხმებული, სხვა და სხვა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაზე უნდა იყოს დამყარებული. არ კმარა თავის თავზე თქმა, უძლიერე ვართ, — ამის თქმა სუსტს უძლიერეობად არ განხდის; არ კმარა ბრძოლის დროს თაფ-ზარბაზნებით შეიარაღებულ მოწინააღმდეგის დასამარცხებლად გული გერჩოდეს, — საქიროა ისეთივე თოფი და ზარბაზანი, საქიროა ამ იარაღის მოხმარება; არ კმარა მომავალ წყობილებაზე აღფრთოვანებულ სიტყვებს წარმოთქმა, საქიროა აწმყოში მოქმედ საზოგადო ძალების გათვალისწინება და ამ ძალების გამოყენება გამარჯვების მოსაპოვებლად. თავის ქება, საკუთარ ძალებზე აზრის გადამეტება გამარჯვებას ვერ მოუპოვებს ვერავის, — პირიქით, შეიძლება მან ისეთსავე უხერხულ მდგომარეობაში ჩავდოს ადამიანი, როგორშიაც ჩავარდნენ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატულ პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელნი, რომელნიც „ბურჟუებს“ წინააღმდეგ უკიჟინებდნენ, ბარიკადებზე რომ წავალთ, თქვენ სარდაფებში დაიშალებითო, — ნამდვილად კი თოფის პირველსავე სროლაზე თვითონვე სარდაფებისაკენ გაქანებულან. ეს გაქცევა დიდს არას აკლებდა ქვეყანას, მხოლოდ გამქცევის მხნეობას და ბაქიობას ახსიათებს: მავნებელი შეიქნა ხალხისათვის მხოლოდ იმათი ქცევა, ვინც ირწმუნებოდა, — აშკარა ბრძოლისთვის საკმარისი ძალები შეგვწყვესო და ჯარების დიდი ნაწილი ჩვენსკენ არისო. ერთიც და მეორეც შემდეგ სიმართლეს მოკლებული გამოდგა. ამას საშინელი სისხლის ღვრა მოჰყვა, ქვეყნის აოხრება, ქალების გაუპატიურება, ხალხის უღუკმა პუროდ დაგდება. ისინი კი, ვის სიტყვასაც ხალხი ასე გულუბრყვილოდ დაენდო, დღესაც სამშვიდობოში არიან გადამალოდნი“...

აი, ეს არის ის ადგილი წერილისა, რომელსაც „განთიადის“ მწერლისთვის“ დავთარი დ უბნევი და პალუცინაციები დაუწყებინებია. და რას იტყვიო, — ის არ არის მართალი, რასაც აქ ავტორი ამბობს? განა მართალი არ არის, რომ საბრძოლველად გამოსულს შეიარაღებულ ჯარის დამარცხება „რჩეებით“ არ შეეძლება, რომ თავის თავზე გაზვიადებულ წარმოდგენის შედეგადად მავნებელია, რომ პარტიის ტაქტიკური მოქმედება საზოგადოებაში არსებულ რეალურ ძალთა რაოდენობასა და განწყობილებაზე უნდა იყოს დამყარებული? ყოველი სალი გონების მქონე ადამიანისთვის ეს საანბანო კეშმარიტებაა, მაგრამ „განთიადის“ კალმოსანს ეს აქსიომაც საკამათოდ მიაჩნია, ვინაიდან მისი პარტია ამ აქსიომას არ სცნობდა და მის წინააღმდეგ იქცევოდა. ამის საპასუხოდ, იცით, იგი რას გვეუბნება? აი, იხილეთ: „ივერიის ხორის ბნ გოგინაიშვილის ლოტბარობით არ მოსწონებია ჩვენებურ სოციალ-დემოკრატის ტაქტიკა და საყვედურობენ, რატომ კედელი შუბლით არ გაანგრეთო“.

არა, ბრძენო ბატონო, — „ივერიის ხორი“ ისე სულელი არაა, რომ თქვენთვის ასეთი რამ ესაყვედურებია. „ივერია“ არც შარშან ურჩევდა ვინმეს და არც წრეულს ურჩევს, შუბლით კედელი გაანგრეთო და უსარგებლოდ ტყვიას გული მიუშვირეთო. მაგალითად, № 191-ში „ივერიაში“ ასეთი რჩევით მოგმართათ თქვენ, ყოვლად ძლიერ „ლომებს“: „ბევრს, დღეს ხალხში მოლაპარაკეს და სოციალ-პოლიტიკურ იდეების მქადაგებელ-გამაგრეებელს, ძალიან ადვილ საქმედ აქვს რევოლუცია წარმოდგენილი და რახან ისტორიაში შეიარაღებული აჯანყება ხშირად მომხდარა და რევოლუციას ხშირად გაუმარჯვია, ჰგონია, რომ დღევანდელ წესწყობილებაშიაც შეიარაღებულ რევოლუციის გამარჯვება აუცილობელი და უზრუნველ-ყოფილია... თანამედროვე საობრიო ტენიკა ისე განვითარებულია, ახლანდელი სამხედრო შეიარაღება ისე რთული და ძლიერია, რომ გაწვრთნილ ჯართან ბრძოლა არა თუ კაჟიან თოფებით შეიარაღებულ პაწაწა გურისას, არამედ სარევოლუციოდ გამოწყობილ დიდ ხალხსაც გაუჭირდება და ყოველ შემთხვევაში მასთან პირისპირ ბრძოლის გამართვა არ შეუძლიან; დღეს ის იარაღები აღარაა, რაც იყო ამ ერთი საუკუნის წინად საფრანგეთის დიდ რევოლუციის დროს, მაგალითად, კაცობრიობამ ჯერ არ იცოდა არც ტყვიის მურქვევლები, არც ახლანდელი საშინელი ყუმბარა-ზარბაზნები, თოფები და დინამიტის პატრონები. მაშინ სარევოლუციოდ ამდგარი ხალხი საომარ ტენიკის მხრით ისეთსავე პირობაში იმყოფებოდა, როგორც მის წინააღმდეგ გამოყვანილი ჯარი. დღეს კი რამდენიმე ზარბაზნის გასროლა საკმარისია, რომ ნაღლე-თებად იქცეს რევოლუციონერთაგან ამართული ბარიკადა და თავშესაფარი. ახლანდელ დროში სახალხო შეიარაღებულ რევოლუციას გაწვრთნილ ჯართან მხოლოდ პარტიზანული და ჯარის დამქანცველი ბრძოლა თუ შეუძლიან, თორემ არასოდეს — ბრძოლა პირდაპირი და განწყობილი... საქიროდ მიგვჩინა ამისი ვახსენება განსაკუთრებით დღეს, ვინაიდან სწორედ დღეს არის საქირო და სასარგებლო იმ ცვლილებების გათვალისწინება, რომელიც მოხდა საომარ ტენიკის განვითარების წყალობით, სარევოლუციოდ შეიარაღებულ ბრძოლაზე მითითება ძნელი საქმე არ არის, მაგრამ არავის არ უნდა ავიწყდებოდეს, თუ რა პასუხის ვეგზობას იღებს იგი ამ შემთხვევაში თავის თავზე. იმ ტენიკურსა და იდეურ მდგომარეობაში, რომელშიაც ამჟამად ხალხი და ჯარი იმყო-

ფეხა ჩვენში, გაწვრთნილ ლაშქართან ბრძოლის გამართვა უქვეყნლად ნიშნავს ხალხის გასრესას და განადგურებას.“

ხომ ხედავთ, მკითხველო, რომ ჩვენ არ გვცოდნია რჩევა: „შუბლით კედელი გაანგრეთო“. ამას ვწერდით ჩვენ 28 ოქტობერს, სწორედ იმ დროს, როცა ყოველ მიტინგსა და კრებაზე სოციალდემოკრატიის ორატორები „სისხლი, სისხლი!“ იძახდნენ, როცა ისინი სიტყვას ისე არ მოაბრუნებდნენ, რომ შეიარაღებულ აჯანყებისთვის არ მოეწვიათ ხალხი, როცა მათი გამოცემები ბრძოლის „პლანებს“ ბეჭდავდნენ, ერთის სიტყვით — როცა მათ ბანაკში მხოლოდ ეს სამი სიტყვა: „რევოლუცია, შეიარაღებული აჯანყება“ ესმოდა ადამიანს. ჩვენ ვიცოდით, რომ მიტინგების „რეჩები“ ცარიელი სიტყვები იყო; ვიცოდით, რომ, მაგალითად, ის თავის „იწილო-ბიწილოთი“ „ცნობილი“ და დღად „გამოჩენილი“ ორატორი, რომელიც 18 ოქტომბერს ხალხს ტფილისის ბასტილიის-მეტეხის ასაღებად იწვევდა, ხოლო მთელ მის შეიარაღებას მისი პატარა მუშტები შეადგენდა, — კახაკებსა და სალდათებს ვერ დაამარცხებდა და ბასტილიას ვერ აიღებდა; ვიცოდით, რომ, ჩვენში მაინც, რევოლუციის განმათავისუფლებელ იდეისთვის ჯარი სრულიად მოუშაღებელი იყო, ვიცოდით, რომ სახიფათო და საზარალო იყო სურვილის სინამდვილედ მიჩნევა და ამიტომ ვალდებულად ვცანით ჩვენი თავი, ეს „აწეული“ პოლიტიკოსები გაგვეფრთხილებია და მოსალოდნელი ხიფათი მათთვის გაგვეთვალისწინებია, მაგრამ რახან ჩვენი სოციალდემოკრატები იმასაც კი არავის დაუჯერებენ, რომ ორჯერ ორი ოთხია, თუ ეს აქსიომები იმით მარქს-ენგელსის თხზულებებში არ უჩვენეთ en toutes lettres ჩაწერილი, ამიტომ ჩვენ მაშინ ენგელსის წერილიც კი გადმოუთარგმნეთ ქართულად, რომელშიაც იგივე აზრია გატარებული, რაც ზემოდ ამოვწერეთ. ენგელსის წერილის გადმოთარგმნა საქირო იყო, რადგან ვიცოდით, რომ ქართველ სოციალდემოკრატიის იდეოლოგებს თავიანთ მოძღვართა ნაწერების წასაკითხად არ ეცალათ, ვინაიდან მთელი მათი დრო „შეიარაღებულ აჯანყებაზე“ ლაპარაკს უნდებოდა.

მაგრამ ენგელსსაც ვერავითარი გავლენა ვერ იქონია „აჯანყებულ“ ფრანგოლოგიით შეხურებულ პოლიტიკოსებზე: ფრანგების კორიანტელი წინანდებულად მოდიოდა და მოდიოდა... აჯანყების გეგმები წინანდებულად იბეჭდებოდა სოციალდემოკრატიულ გამოცემებში და მთავრობას ეგზანგებოდა წასაკითხად... ბოლოს დადგა დეკემბრის ცნობილი დღეები, დღეები ჩვენებურ სოციალდემოკრატიის დიქტატურისა, და ყველამ ვიცით, აუ რა ზომით გამოიხატა ძალღონე შეიარაღებულ აჯანყებისა.

მას შემდეგ აგერ ორი თვე გადის და თითოეული დღე იმის ცხადად დამამტკიცებელია, რომ რევოლუციონერი შეიარაღება დღეს-დღეობით ვერ სჯობნის ჯარის შეიარაღებას. ეს ისეაი ცხადი და ნათელი მოგვჩნა, რომ მას ბავშვიც კი უნდა ხედავდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას როგორც ეტყობა, კიდევ ვერ ხედავს „განთიადის“ ლებრო კალმოსანი. ჩვენზე კი არა, სწორედ ამ ვაებატონზე და მის მსგავსებზე იტქმის: ყველაფერი დავივიწყე, ვერაფერი ვერ ვისწავლეო. „ივერია“ მის პარტიას ეუბნება: შეცდომა მოგივიდა, მოუშაღებელმა რომ ხელი იარაღისკენ გასწიე და ახლავე ბრძოლის დაწყება გადასწყვიტეო, მარტო სურვილით კი არა, რეალურ ძალის აწონ-გაზომვით უნდა გეხელმძღვანელებო. იმის მაგივრად, რომ ეს მარტივი ამბავი, რომელიც უკვე წარსულს ეკუთვნის, სცნოს, შეცდომა დაინახოს და ამით

მერმისისთვის ცოტა ქუთა ისწავლოს, ეს უშიშარი რაინდი, როკელიც გუშინ ვინტოვკებით შეიარაღებულ რუსეთის ჯარს მუშით უპირობდა დამარცხებას, ჩვენვე გვეხახავს და „ხულიგანის“ სახელწოდებით გვაძეკობს! ისინი, ვინც გუშინ თავის უვიცობით და ატაცებით ხალხს ნამდვილ დამარცხებისაკენ იწვევდნენ, თურმე ხალხის ნამდვილი მესვეურნი არიან, ხოლო ჩვენ, რადგან წინდახედვასა და თადარიგინობას ვურჩევდით, „ხულიგანთა“ და „შავრაზმელთა“ ბანაკში ვყოფილვართ ჩასარიცხავი.

ამას ამბობს წარბშეუხრებლად და გაუწითლებლად „განთიადის“ სან-დონი. ოღონდაც მართალი ყოფილა, რომ სირცხვილის ძარღვი ადამიანს გაუწყდება თურმე. სხვა არა გვეთქმის რა ასეთ უტოფრობაზე.

ან კი რა უნდა ვთქვათ, მკითხველო? განა შეიძლება ისეთ ადამიანის დარწმუნება რამეში, რომელიც ძველსაც ივიწყებს და ახალსაც არას სწავლობს? მისზე არ მოქმედობს ჩვეულებრივ ადამიანის საღი ლოლიკა, არ მოქმედობს რეალური მაგალითი, არ მოქმედობს თვით მისგანვე ავტორიტეტად ცნობილ მსწავლებლის მოძღვრებაც. მას შემდეგ, რაც ჩვენ გადმოვუთარგმნეთ ქართულად, ენგელსის წერილის შინაარსი უნდა მოეხსენებოდეს საქართველოს გამსხვიონსებელ „განთიადის“ მწერალს. მაგრამ ენგელსსაც მას ქუთა ვერ ასწავლა და ვერ მიახდინა. იქნებ ეს მარქსმა შესძლოს? ვსცადოთ, — ცდა ბელის მენახევრეა.

თავის თხზულებაში: Die Revolution und Kontre-Revolution in Deutschland (გვ 117) მარქსი სწერს: „აჯანყება ერთნაირი ხელოვნებაა ისე, როგორც ომი ან სხვა ხელოვნება, და ემორჩილება განსაზღვრულ წესებს, რომელთა დავიწყება დაძლუპავს იმ პარტიას, რომელიც ამას მოიმოქმედებს. ეს წესები ლოლიკურად გამომდინარეობს პარტიების მდგომარეობისა და სხვა ურთიერთობისაგან, რომელსაც ამ საქმეებთან კავშირი აქვს... პირველად, — აჯანყების დაწყება არ შეიძლება, სანამ აჯანყების მომხდენნი მზად არ არიან, გაუმეკლავდნენ თავის მოქმედების შედეგებს“ და სხვ.

როგორც ხედავთ, ესეც ისეთი სიტყვებია, რომლებშიაც უხსენებლად გამოთქმულია შეცდომა ჩვენებურ სოციალდემოკრატიისა, რომელსაც სურვილი კი დიდი ჰქონდა, მაგრამ ღონე არ შესწევდა, და ეს თავის ღონის ნაკლებობა და ძალთა მოუშაღებლობა მას კარგად უნდა სცოდნოდა.

მაშ ჩვენ რაღა ვთქვათ ამ შემთხვევაში იმაზე მეტი, რასაც სოციალდემოკრატიას ზოგადად მისნი მოძღვარნი ეუბნებიან? იქნება იმაში არის ჩვენი „ხულიგანური“ დანაშაული, რომ ამ უკანასკნელთა ზოგადი აზრი ჩვენ სოციალდემოკრატიულ პარტიის კონკრეტულ ტაქტიკას დაუვპირდაპირეთ და მის შეცდომას ნამდვილი სახელი ვუწოდეთ?

თუ ეს არის მიზეზი „განთიადელთა“ აღშფოთებისა, იმ შემთხვევაში ვუოჩე მათ, „ხულიგანობის“ მოწმობა პლენაროვსაც გაუგზავნონ ჟენევაში, ვინაიდან „ხულიგანური“ დანაშაული, რომელიც ტაქტიკის კრიტიკაში გამოიხატება, იმასაც მიუძღვის მათ წინაშე. „შეიარაღებული აჯანყება სახუმრო საქმე არაა, — სწერს იგი, — მასზე დამოკიდებულია მომავალი ბედ-იღბალი მოძრაობისა და ამიტომ მოუფიქრებელი ყბედობა მასზე შეადგენს ნამდვილ დანაშაულს წინაშე რევოლუციონერ პროლეტარიატისა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები ამ შემთხვევაში წარმოუდგენელ ქარაფშუტობას იჩენენ. მათი თავები ერთნაირ არღნებად გადაქცეულა, რომლებიც უკრავენ მხოლოდ ერთად-ერთ არიას

— შეიარაღებულ აჯანყებისას. ამ აჯანყებაში მდგომარეობს მათთვის თავი და ბოლო ტაქტიკურ სიბრძნისა. მაგრამ სწორედ ამის მიუხედავად მათი ტაქტიკური სიბრძნე ტაქტიკურ უქულობად ხდება... ისინი თავიანთ თავს სთვლიან უკიდურეს რევოლუციონერებად იმ საფუძვლით, რომ იმათ „გადასწყვიტეს“ მუდამ აჯანყებაზე ილაპარაკონ. მაგრამ თუ იერიქონის კედლები იეგოვას წყალობით დაანგრია საყვირის ხმამ, ჩვენი მონარქიაც რევოლუციონურ ფრანგებით არ დაინგრევა. ვიდრე აჯანყებას დავიწყებდეთ, საჭიროა ამ აჯანყებისთვის მომზადება. ყველა, ვინც იძახის: „უფალო, უფალო“, ვერ შევა სასუფეველსა ცაჲა, და ისევე ყველა, ვინც ყვირის: „რევოლუცია, რევოლუციაო“, სამსახურს ვერ გაუწევს რევოლუციის საქმეს („Дневник“ № 3, გვ. 7, 22, 23). ჩვენი მოვალეობაა, ვუჩვენოთ პროლეტარიატს მისი შეცდომა, ავუსხსნათ ხიფათი იმ საქმისა, რომელსაც შეიარაღებული აჯანყება ეწოდება. ბიუროკრატის უყვარს განმეორება: „ყველაფერი წეს-რიგზე არისო“. ჩვენ, მისი დაუძინებელი მტრები, არ უნდა დავემსგავსოთ მას. ჩვენ უნდა ვუთხრათ ხოლმე პროლეტარიატს სიმართლე, სრული სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. ჩვენ იმდენად მამაცებმა უნდა ვიყოთ, რომ გავბელოთ ვუჩვენოთ მას მისი და ჩვენი საკუთარი შეცდომები... ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ის ტაქტიკა, რომელსაც მისდევდა ჩვენი პარტია უკანასკნელ თვეების განმავლობაში, სწორი არ იყო. ახალ დამარცხების შიშით ჩვენ ვალდებული ვართ, ტაქტიკის ახალი წესი შევითვისოთ“ (ibid., № 4, გვ. 12—13).

კმარა. მაგრამ „განთიადის“ რედაქციისთვის კმარა კი? მას დღესაც სჯერა, რომ რუსეთში ახლო მომავალში შესაძლებელია შეიარაღებული რევოლუცია და მისი გამარჯვებით დაბოლოდება. იგი ნიშნ მოგებით გვიწერს: „ბ. გოგინიშვილი რჩევას იძლევა, რევოლუციური ბრძოლა ამიერიდან მეტი ბარგია, ისევე პარლამენტარული ბრძოლა იწყეთო“. არ ვიცი, როდის დარწმუნდებიან ეს ახირებული პოლიტიკოსები, რომ რუსეთში დღეს—და ახლო მომავალშიაც—შეიარაღებულ აჯანყების სახით გამოხატულ რევოლუციას ნიადაგი არა აქვს გასამარჯვებლად.

მაგრამ დღეს ამაში მათი დარწმუნება ჩემს ძალღონეს აღემატება. ბრმა ადამიანს რამდენიც უნდა ელაპარაკოთ ქვეყნიერობის შესახებ, მაინც ვერაფერს მიახდენთ და ვერაფერს გაგებინებთ. და გადაქარბებული ოპტიმიზმიც ერთნაირი სიბრმავეა, რომლის განკურნვა—და ისიც არა ყოველთვის—მხოლოდ მწარე გამოცდილებით შეიძლება.

მერმისს რომ თავი დაჟანგოთ და ჩვენს მოპირდაპირეებს საკამათოდ დავუტოვოთ, ყოველ შემთხვევაში ეს მაინც ექვს გარეშეა, რომ მოუმზადებლად „აჯანყობნას“ თამაშობა დიდ სიმჩატისა და წინდაუხედავობის შედეგი იყო, ამას ამბობს მარქსი, ენგელსი, პლენაროვი, ამას ამბობს სალი გონება, ამასვე გვეუბნება წარსული გამოცდილება.

და ვინ ჰქადაგობდა შეიარაღებულ აჯანყებას? ვინ სწერდა „გეგმებს“? ვინ ამბობდა ამის შესახებ გაშალაშინებულ „რჩებებს“? გლახი? ფაბრიკის მუშა? არა! უმთავრესად პარტიის ინტელიგენცია, ვინაიდან ისაა იდეური ხელმძღვანელი პარტიისა. აი, ამ ინტელიგენციის წაგაერთ წარმომადგენლებზე ამბობს „ივერიის“ თანამშრომელი, რომ ისინი „ბურჟუებს წინდაწინვე უკაენებდნენ, ბარკადებზე რომ წავალთ, თქვენ სარდაფებში დაიმალებითო, —ნამდვილად კი თოფის პირველსავე სროლაზე თვითონვე სარდაფებისკენ გაქანებულან... და

დღესაც სამშვიდობოში არიან გადამალულნიო“. ამ სიტყვების წაკითხვისათვისავე „განთიადის“ სან-დონს სიბრაზისაგან გულის ფრიალი ავარდნია და ასეთ სიტყვებს გვიძღვინს: „სად არის სირცხვილი, ბ.ნო დოქტორო, თუ ცოცხლებს არ ერიდებით, თავისუფლებისთვის დახოცილთა აჩრდილი მაინც არ დაგიდგათ თვალწინ, როცა მაგ სტრიკონებს სწერდით?.. ბინძური დემაგოგობა ამაზე შორს განა წავა?“

ამაზე მე მოგახსენებთ, რომ „ბინძური დემაგოგობა“ ამოწერილ სტრიკონების ავტორთან არის მოკალათებული. „ივერიის“ თანამშრომელი ამბობს, —სოციალდემოკრატის ინტელიგენციის „ზოგიერთ“ წარმომადგენლებმა, რომელნიც მუდამ შეიარაღებულ აჯანყებაზე გაიძახოდნენ, გაქირვების დროს ხელად თავს უშველესო, ხოლო „განთიადის“ სანდონი დემაგოგიურად დახოცილ მუშებზე გეითითებს და მათი აჩრდილით „გვარცხვენს“. თითქოს ჩვენ არ ვიცოდეთ, რომ მშრომელ ხალხის შეილება სოციალურ და ქონებას შესწირეს რევოლუციის საქმეს. თქვენ ეს მიბრძანეთ, იმ „ზოგიერთმა“ სოციალდემოკრატ ინტელიგენტებმა რაჰქმნეს, რომელნიც იდეოლოგობას ჩემულობდნენ, შეიარაღებულ აჯანყების მასწავლებლობას კისრულობდნენ და ამ საგანზე მაგარ „რჩებებს“ ამბობდნენ? ბარკადებზე ავიდნენ, თუ სამშვიდობო გზები მონახეს? ან იქნება თქვენ არ იცოდეთ ასეთები? აბა როგორ დავისახელოთ,—გაიხსენეთ, მოიგონეთ ნაცნობი მეგობრები...

„განთიადის“ თანამშრომლებს ეს მით უფრო არ გაუქირდებათ, რომ ისინი კარგად იცნობენ არა თუ ახლო მეგობრებს, არამედ მთელ ქართველ ხალხს. „ივერიის ხულიგანები მწერლის ტანისამოსში იმუქრებიან,—გვეწერს ჯენტლმენურის თავაზიანობით „განთიადის“ სან-დონი,—რომ ხალხი პასუხს მოგთხოვთო... რომელ ხალხზე ლაპარაკობ, ბატონებო? იცნობთ კი მას თქვენ? გინახათ ოდესმე? გტყენით მისი სატიკივარი და დაურბევინართ თქვენ მასთან ერთად? იცნობთ თქვენ ხალხს, რომ ასე თამამად ლაპარაკობთ ხალხის მაგიერ?“

ხომ ხედვით,—ჩვენ არც ხალხი გვცოდნია და არც მისი სატიკივარი გვტყენია. ჩვენ ეს დიდი ხანია ვიცოდით, რომ მხოლოდ სან-დონი და ძმანი მისნი იყვნენ ხალხის ნამდვილი მცოდნე და უსაზღვრო გულშემბატკივარი. მხოლოდ ერთი ეს მიბრძანეთ, ხალხისთვის თავდადებულ კალმოსანო: როცა შორაპნის მახრის მცხოვრებნი დაარბიეს, უკანასკნელი ქათამი და ფუთი სიმინდი ჩალის ფასად გააყიდვინეს და ხაზინიდან წაღებული 250 ათასი მანეთი დაათვლევინეს, თქვენ და თქვენი ამხანაგები მაშინ სად ბრძანდებოდით და თქვენი გულმტკივნეულობა ხალხს რა პასუხს ეუბნებოდა?

Пошъ свѣтъикъ, не стыдись!..

ფ. კაკაჩაიშვილა

**ქობაძე ასეთი უნდა!**

ვარდი უეკლოდ შეუძლებელია. ცხოვრებაში ყოველივე კეთილი ტანჯვით და ვაებით მოიპოვება ხოლმე,—სიკვდილი ჰბადებს სიციცხლეს.

რასაკვირველია, ერთობასა და სიყვარულს თავისუფლება-სა და მ.რთალს არავინ დაგვანებებდა ვერც ადვილად. მათრახი არ გვაკმარეს და ხარბახუნებით აგვაობრეს მისთვის, რომ შეუ-რყვეელი ადამიანური უფლება მოვითხოვეთ და მისი სიკეთე ვიგვეთ. ამან თქვენი ქირი წააღოს,—ეს მოვლენის აუცილებელი ფაზისებია. დღეს ჩვენ ვსტირით, მტერი იცინის; ხვალ

მტერი იქნება დამარცხებული და დამცირებული, ჩვენ კი საუკუნოდ გამარჯვებული. რადგან დღევანდელი ცხოვრება ისე აუტანელია, რომ მისი შეუცვლელი შერყევით და ხდის საზოგადოების არსებობას.

ჩვენ დიდ უბედურებაში ვართ და ეს უბედურება მით უფრო მწვავე საგრძობია, რომ ჩვენს ირგვლივ ადამიანი არ არის, რომელიც ჩვენს ასეთ მდგომარეობას გულწრფელად დასტიროდეს და გულითად თანაგრძობას უცხადებდეს.

ჩვენი მეზობლები, რომელთათვის კარგის მეტი არა გვიქმნია—რა, რომელთა კირი ჩვენი კირი ყოფილა ყოველთვის და ლხინი სიამოვნება, მეტად უდიერად და უკმხად მოგვექცენ, მეტად დიდი უმადურობა გამოიჩინეს და არაკული „კარგისთვის კარგი ვის უქნია“ ცხად გვიცხვს.

კარგად გახსოვთ, უთუოდ, შარშანდელი თებერვლის ამბები ბაქოში, როცა ორ მეზობელ ერს შორის სამარცხვინო განხეთქილება დაიწყო. ჩვენ, ქართველებმა, ჩვეულებრივი გულკეთილობა და გრძობიერება გამოვიჩინეთ, გულწრფელის თანაგრძობით ვიყავით გატაცებული და ყოველ შემთხვევით ვსარგებლობდით, რათა საჯაროდ გამოგვეთქვა ჩვენი ღრმა და ძლიერი თანაგრძობა მეზობლებისათვის, რომელთა უბედურების მიზეზს ვეძებდით გარეშე პირობებში და ამ პირობებს წყველა-კრულვით ვისენიებდით. ყოველ ჩვენგანს ახსოვს ის მრავალრიცხოვანი მიტინგები ქეზვეთის და ვანქის მკლესიის გალავანში, რომელთა მეთაურნი და სულის ჩამდგმელნი ქართველები იყვნენ და რომელზედაც „ძმობისა და ერთობის“ ალტაცებულ სიტყვებს დასასრული არა ჰქონდა, ჩვენდა სანუგეშოდ და თავის მოსაწონებლად უნდა ვსთქვათ, რომ ქართველებმა ამით გამოიჩინეს კიდევ ერთხელ თავისი კეთილშობილობა და მაღალი ზნეობრივი სიფაქიზე. როგორც ადამიანისა კერძოდ, ისე მთელის ხალხისა საერთოდ დიდად დამამშვენებელია, როცა მათში საზოგადოებრივ ინსტიტუტებს მაგრად აქვს გადამული ფესვები და როცა მისთვის საზოგადოებრივ ალტრუისტური მაღალი გრძობები უცხო ხილი არ არის.

ღრონი იცვალნენ. ერთი წელიწადი გავიდა მას მერმე, და ქართველმა ერმა განიცადა ბევრად უფრო დიდი უბედურება, ვიდრე ჩვენმა მეზობლებმა. მთელი საქართველო საარაკოდ არის აოხრებული მთელი ქართველი ერის ძაძვით შემოსილია, კრემლებით აღსავსეა ყოველ ქართველის თვალი. ჩვენისთანა აოხრებულ, შეუაღსყოფელ, აწიოკებულ და გაუბატურებულ ერისათვის დიდად საჭიროა თანაგრძობა, სანუგეშო სიტყვის თქმა. ყოველ ხალხის და ყოველ რიგთან კაცის მოვალეობა ამ მდგომარეობაში მყოფ ხალხს მისი სევდა და ოხვრა გრძობიერის სიტყვით მაინც შეუმსუბუქეს. ეს მოვალეობა ერთი-ორად მეტია იმისთვის, ვინც მეზობელია და მოწმე ჩვენის უბედურებისა. ერთი ასად სავალდებულოა იმათთვის, ვისაც სესხი მართებთ ჩვენი, ვისთვისაც უფრო ნაკლების მწუხარების დროს ნუგეში და თანაგრძობა უხვად მიგვიძღვნია, ვისთვისაც ძმურად და ადამიანურად ხელი გავვიწვდია.

ამის სამაგიეროდ ჩვენმა მეზობლებმა სადღესასწაულო დარბაზში „მერიგების კომედია“ გააწყვეს და ზავის ბოლოს სადღეგრძელო ცეკვას მოჰყვნენ. ჩვენდა სამარცხვინოდ და საწუხაროდ, ზოგიერთმა სვენმა კნინებსმაც მიიღეს ამ ვახანალიაში მონაწილეობა და მაშინ, როცა ჩვენი ერთი მათრახებისა და თოფ-ზარბაზნების ქვეშ ოხრავს და გმინავს, იგინი ორკესტრის მუსიკით იტკობდნენ სმენას და ელექტრონიც გაბრწყინ-

ვებულ სადღესასწაულო დარბაზში იპრანქებოდნენ და იგრიხებოდნენ. მაგათ, რასაკვირველია, თავის დღეში ქართველი ერის არა სმენით რა, მაგრამ, საუბედუროდ, ქართველის სახელს ატარებენ და ამიტომ მათი სამარცხვინო ზოძხე ვაკვრა აუცილებელია.

მართალია, მეზობელთა ქეფი ჩვენის ტირილის დროს საზოგადოებრივ ეთიკის შეხედვით მაინც და მაინც მოსაწონი საქციელი არაა, იგი უფრო უმადურობასა და ვალის უარისყოფას ნიშნავს, მაგრამ ამანაც თქვენი კირი წაიღოს. ეს აღარ გვაქმარებს ერთის მეზობელ ერის წარმომადგენლებმა და მათრახები დაგვიშინეს. მათრახები კი არა, უკეთ რომ ვთქვათ, წიხლები მოგვაყარეს.

ბატონმა ხატისოვმა თავის აწ „სახელგანთქმულ“ სიტყვაში ჯერ განაცხადა, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტმა სიხარული და ბედნიერება მოგვფინა, რომ ამ სიხარულს მართო ერთი რამ აჩრდილებს,—ეს სომეხ-თათართა განხეთქილებაო, და ურცხვად დაივიწყა და წიხლი ჰკრა იმ გარემოებას, რომ ქართველი ერთი აოხრებულ ანიაგებულია და მისი კრემლი ზღვას ერთვის.

მაგრამ აქ არ შეჩერდა ბატონი ხატისოვი და ფიცხელი დანოსიკ გამართა: ჩვენ „ორთავიან არწივის“ პოლიტიკას ვაძლევთ მხარს, ჩვენ ხომ ავტონომია არ მოგვითხოვია და რუსეთის ჯარის წინაღმდეგ პროკლამაციები არ გამოგვიციაო.“ მაშინ ყოფილა ასეთი „ბორცო მოქმედი“, ასეთი „თავხედი“, რომელსაც ეს გაუბედნია? ბ. ხატისოვს, რასაკვირველია, იმდენათ გამბედაობა სად შესწევს, გულ ახდილად ახსენოს, ვის სახაეს ასეთ „საშინლებად“, მაგრამ ყველამ კარგად იცის, კაცია იაში ავტონომია მოუთხოვია ქართველ ერს და ჯარის წინაღმდეგი პროკლამაციების გამოცემასაც თუ ვისმე აბრალებს—რასაკვირველია, ისევ ჩვენ. მერე რად შეეშინდა თავალეზულ ორატორს და რატომ პირდაპირ ვერ დაგვასახელია? დიდად ჩვენ, ქართველებს, თავი მოგვწონს, რომ ჩვენი ერის უფლებას ვიცავთ და ჩვენის ერისათვის ვთხოულობთ პოლიტიკურ წესიერების დამყარებას, რაიცა შესაძლებელია, ჩვენის აზრით, ავტონომიის შემოღებით. დიდაც ჩვენ ვაძაგებდით ძალას, რომელიც გამაგრებულ რეაქციის ემსახურებოდა, რომელმაც, სადაც საჭირო იყო, იქ მხდლობის მეტი ვერა გამოიჩინა რა და აქ კი მშვიდი ხალხი აიკლო, ბავშვებს ეომა და დედა-კაცები გააუბატურა. მერე რა? ჩვენ თავი მოგვწონს ამით და ჩვენს ტანჯვასა და ვაებაში ერთად ერთი ნუგეში ისა გვაქვს, რომ ჩვენი ერის ბედნიერებისთვის ვიბრძოდით, სიმართლის დამყარებას ვემსახურებოდით. ბ. ხატისოვსა და მის დამქაშებს კი მელუქნისა და მეწვრიმალის სულმოკლეობა ვერ უძლევიათ—ბრწყინვალე ჩვენი მოძრაობა ბორცო მოქმედებად დასახეს, თავის ერს ხოტბა შეასხეს, რადგან იგი შორს არის ასეთ მაცდურობისაგან, როგორც ავტონომია და რეაქციონურ ძალთა წინაღმდეგობა და „ორთავიან არწივის“ დამქაშობა სასახელოდ ჩათვალეს.

ამგვარად გადავიხიდა სომხ-ერის წარმომადგენელმა, ბ. ხატისოვმა, ჩვენი „ძმობა და ერთობა“, ამგვარი წიხლები დაგვკრა ჩვენ, აოხრებულთა და აწიოკებულთებს, ნაცვლად იმ გულნაკლულ თანაგრძობისა, რომელიც მთელმა ქართველმა ერმა გამოუცხადა სომეხ ერს მის მწუხარების დროს. ამგვარად ისარგებლა ბ. ხატისოვმ ჩვენი უბედურებით თავისიანთა ბედნიერების ასაგებად. ამნაირად შეურაცხყო მან მთელი ერთი თავის ვაქრულ და მეწვრილამნურ უმადურობით.

მაგრამ ჩვენთვის ბ. ხატისოვის რა მნიშვნელობა აქვს?) ჩვენ კარგად ვიცით, რომ მაკისთანა ურცხვი და უმადური ყოველ ერს მოექმნება. მხოლოდ სად არის ხომეხა ერი, სად არის მისი ბეჭდვითი სიტყვა, მათი საზოგადო დაწესებულებები? რატომ გული, არ ამღვრევიათ, რატომ ზიზღით არ იხსენიებენ ბ. ხატისოვის საქციელს, რატომ ბოდიშს არ იხდიან ქართველ ერის წინაშე? ნაცვლად ამისა ბ. ხატისოვის ყოველ კუთხიდან მადლობა მოსდის ამ სიტყვების გამო და «ვაშას» ძახილით ეგებებიან — და ეს იმის მაგიერია, რომ სომეხ-თათართა შეტაკების დროს არ დარჩენილა საქართველოს კუთხე, საიდანაც ქართველებს სომეხებისთვის თანავარძობის დებულები არ გამოგვზავნოთ. ანა და ეს იმის მაგიერია, რომ ქართველებმა თავისი კაცები სწორედ ჯვარს აცვეს ამისთვის — როგორ გაბედდ და სომეხების ვაქრებსა კრიტიკა გაუწიეო, ისიც მაშინ, როცა სომეხებს არაფერი არ აწუხებდათ.

დღეს ბატონი ხატისოვი და მისი თანამგრძობნი რასაკვირველია გამარჯვებულნი არიან. დღეს ქართველები დამარცხებული და გათვლილი ვართ, მაგრამ დიად აზრით გატაცებულ ერის დამარცხება ბრძოლის ველზე ამ ერისთვის სასახელოა, ხოლო ბ-ნი ხატისოვის და მზგავსთა გამარჯვება, მათი უმაღლესობა, მათი წიხლები სროლა მათთვისვე ისეთი ჩირქი მომცხვება, რომლის მორეცხა ძნელია. დარწმუნებული ვართ, როცა დღეს მიყუჩებულ მოძრაობას ბედის ჩარხი დაუტრიალდება, ბ-ნი ხატისოვი და მისიანები ქვეყანას განგაშით აიკლეს ბენ, — ვაკასიაში ჩვენ ვიყავით ყოველივე კეთილ მოძრაობი-მეთაურნიო, მაგრამ დაწერაღის ამოშლა ცულითაც არ შეიძლებაო, ამბობენ, და ჩვენც ვეცდებით, თუ ჩვეულებებში რიგმა ქართულმა გულკეთილობამ და გულუბრყვილობამ კვლავ არ გავგიტაცა, გავასენოთ ბ-ნი ხატისოვის მისი სიტყვები და საქვეყნოდ გამოვიფინოთ, თუ როგორ მოუქცა მეზობელი ი ერ ბ-ნი ხატისოვის პირით დატანჯულ მეზობელ ერს და რა დრო მიაყარა უმადურად წიხლები.

ბ. ა.

„პროკლემარიათის დიქტატურა“

(ა. ს. იზგავეის წერილი).

რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიისაგან ჩადენილი ე. წ. „ტაქტიკური შეცდომები“ ახლა ყველასათვის ცხადია. ამ პარტიამ ვერ შეიგნო პროლეტარიატის ნამდვილი ძალები და ზედი ზედ პოლიტიკურ გაფიცვების მოხდენა დაიწყო. ეს პარტია დაუფიქრებლად აქეზებდა ხალხს აშკარა აჯანყებისთვის, თუმცა მაშინვე ცხადი იყო, რომ აქა-იქ უთავბოლოდ დაწყებული შეტაკება ჯარებთან უთუოდ აჯანყებულთა დამარცხებით დასრულდებოდა, მანვე ნაადრევად მოინდომა ლიბერალ და რადიკალ ბურჟუაზიასთან კავშირის შეწყვეტა, როგორც ცხოვრებაში. სარევოლუციო გზით რვა

(\* ჩვენ დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ იმ მოთხოვნებს, რომელიც წარუდგინეს სომეხ-თათართა წარმომადგენლებმა მთავრობას: სომეხ-თათართა პრავინციებში მოხელეებად ან რუსი დანიშნეთ, ან სომეხი და თათარიო ცხადია, ქართველ მოხელეების წინააღმდეგნი ყოფილან. ჩვენ ჩინოფნიკების მოტრფილავ არა ვართ, მაგრამ გვესმის კი, რომ ბ. ხატისოვის სომეხი მოხელე ენატრება. თავის იჯახის მავალითებით იცის, თუ მოსამსახურის გაწევა შეუძლია „სხვისი ხარჯით“ სომეხ ხალხისთვის სომეხ მოხელეს წინააღმდეგ სხვა ერთა ინტერესებისა.

სათიან სამუშაო დღის შემოდება) ისე მწერლობაშიაც (პროლეტარია გაზეთებში და მიტინგებზე).

ასეთი იყო პარტიის უმთავრესი „შეცდომები“. ამბობენ, ამაში თვით სოციალდემოკრატები დანაშაუნიანი არ ყოფილანო ჩვენ კი არ ვაქეზებდით ხალხს, — ამბობს ბ. პარეუსი, პირიქით ხალხი ვაქეზებდა ჩვენ. სარევოლუციო ძალთა დგარი წინ გვერეკებოდა. — ამ სიტყვებში ბევრი რამ არის მართალი მაგრამ მაინც აქ საქმის ნამდვილი ვითარება არ არის გამომხატული. ვისაც უნდა წარსულის შეცდომები აიცილნოს შემდეგში, სოციალდემოკრატიულ პარტიის მოქმედებასაც უფრო ღრმად და დაკვირვებით ჩაუფიქრდება.

მოძრაობის სათავეში მყოფ თეორეტიკოსებს ერთი მთავარი შეცდომა მოსდიოდათ: მათ ზღანკისებურად ესმოდათ „პროლეტარიატის დიქტატურა“, რის გამოც სოციალურ რევოლუციისთვის საჭირო მოქმედება მათ გადაჰქონდით პოლიტიკურ და დემოკრატიულ რევოლუციის საქმეში. „პროლეტარიატის დიქტატურა“ მარქსიზმის, როგორც სარევოლუციო მოძღვრების, ერთ ერთი აუცილებელი ნაწილი არის. კაუცკის სიტყვით, რევოლუცია იმითი განტრეხვა რევოლუციას, რომ რევოლუციის დროს ახალ კანონდებლობის შემოღებას წინ მუძღვის რომელიმე ახალ საზოგადოებრივ კლასისაგან პოლიტიკურ ძალის ხელში ჩაგდება.

„ამა თუ იმ კლასის დიქტატურა, — ამბობს პლენაროკი, — იწინავს ამ კლასის ბატონობას რომელიც მას ნებას აძლევს საზოგადოების მოქმედი ძალები გამოიყენოს თავის საკუთარ ინტერესების დასაცველად და ყველა მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ მოძრაობის ჩასაქრებად და მოსასობად.“ ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, როდის, რა პირობებში ან რა ნაირად შემოდის ხოლმე ეს ბატონობა.

პროლეტარიატის დიქტატურის, გაბატონების აზრი პირველად 1848 წ. რევოლუციის დროს, დაიბადა როდესაც იენისში დამარცხდა ხალხი. კარლ მარქსი ამბობს, „იენისის დამარცხებამ პარიზის პროლეტარიატს დაუმტკიცა, რომ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში მის მდგომარეობის გაუმჯობესება საფიქრებელიც არ არის და ამ ოცნების განხორციელების უბრალო ცდაც კი ბოროტ-მოქმედებად ჩასათვლელია. მაშინ, თებერვლის რევოლუციის დროს, პროლეტარიატის მიერ რესპუბლიკასთან წარდგენილ მოთხოვნებთანა მაგიერად, რომელიც გარეგანად მაღალფარდოვანია, ნამდვილად კი წვრილმანი და თითქმის ბურჟუაზიულიც, — გაბედული სარევოლუციო ძახილი გაისმა: „ძირს ბურჟუაზია! მუშა ხალხის დიქტატორობა!“

მარქსი გარკვევით აღნიშნავს ზღანკისტურ ხასიათს, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის იღვას იმ თავითვე თან დაჰყვა. პარიზის პროლეტარიატი, — სწერს მარქსი თავის „კლასისთა ბრძოლა“-ში, — თან და თან სტოვენს „განყენებულ სოციალიზმს“ და სარევოლუციო სოციალიზმის, კამუნისმის ბანაკში გადადის, იმ სოციალიზმის ბანაკში, რომელსაც თვით ბურჟუაზიამ ბლასკიზმი დაარქვა. სარევოლუციო სოციალიზმი — რევოლუციის დაუსრულებლობაა, კლასიური დიქტატორობა, აუცილებელი კლასისთა სხვა და სხვაობის მოსასპობად, და თვით აზროვნების გარდასქმნელად.“

მარქსი აღნიშნავს, რომ არც 1848 და არც 1849 წ. პროლეტარიატს „ჯერ არ შეეძლო დიქტატორობა“, მაგრამ რამოდენიმე ხანს მაინც მას რწამდა, რომ რევოლუცია შეიძლება განუწყვეტელი შეიქმნას, იგი ელოდა სარევოლუციო და აჯანყებას, რომელსაც უნდა შეექმნა ეს „დიქტატურა“. მაგრამ მარქსი, როგორც ღრმა ფილოსოფოსი და გულწრფელი

პატიოსანი მწერალი დიდ ხანს თავლ ახვეული ვერ დარჩებოდა. 1850 წელს მარქსი და ენგელსი იმ აზრს დაადგენენ, რევოლუცია უკვე დასრულებული არისო, ეს აზრს მათ გულახდილად გამოთქვენს და ამიტომ მათ მოლაღატეც კი უწოდეს ზოგიერთებმა

„ისტორიამ ჩვენი მოლოდინი არ გაამართლაო. — ამბობდა ენგელსი შემდეგში. — მან გვაჩვენა, რომ ევროპის ეკონომიური განვითარება ჯერ კიდევ სრულებით არ არის მომწიფებული კაპიტალისტურ წარმოების გასაუქმებლად“. ოცი წლის შემდეგ საფრანგეთში კიდევ ერთხელ სცადეს პროლეტარიატის დიქტატორობა, მაგრამ აქაც ამ ცდას გამარჯვება ვერ მოჰყვა, „კომუნას ბედმა ისევ დავგიმტკიცა, რომ მუშა ხალხის ბატონობისთვის ჯერ დრო მოსული არ არის“. მას შემდეგ მარქსი და ენგელსი ცდილობდნენ გაერკვით პროლეტარიატის დიქტატორობის იდეა, გაერკვიათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში ამ დიქტატორობას და რა ადგილი უნდა ჰქონდეს მას დ. თომობილი თეორიულ მსჯელობაშიაც. მათის მეცადინეობით პროლეტარიატის დიქტატორობის იდეა განწმენდილ შეიქმნა ყოველგვარ ბლანკისტურ ელემენტებისაგან, მაგრამ ეს საქმე დაასრულა მხოლოდ ენგელსმა „კლასთა ბრძოლის“ ცნობილ წინასიტყვაობაში, რომელსაც 1895 წ. ს ავგისტოს თარიღი უხის.

პროლეტარიატის დიქტატორობის იდეა, მარქსის სიტყვით, ბლანკიზმის სახით შემოვიდა პირველად... ბლანკისტები — ამბობს 1891 წ. ენგელსი, — შეთქმულებებში აღზრდილნი არიან, შეთქმულების სასტიკ დისციპლინას შეჩვეულნი. მათ ჰგონიათ, რომ რამოდენიმე გაბედულს და ერთმანეთში კარგად შეკავშირებულ ადამიანს შეუძლია უფლების ხელში ჩაგდება და ბატონობა, სანამ ხალხის უმეტესობა რევოლუციის მხარეს არ გადავა და შეთაურებს არ მიეყვლება.“

იმ ბლანკისტურ შეხედულებას რევოლუციაზე და პროლეტარიატის დიქტატურაზე, რომელსაც 1849 წ. თვით კარლი მარქსიც კი ადგა, ახლა, 1895 წ. ენგელსმა წინ წამოუყენა თავისი, ნამდვილი მარქსისტული და შემუშავებული შეხედულება. „პროლეტარიატის ძლიერი რაზმი, — სწერს იგი, — დღესაც თუ ვერ ახერხებს დასახულ მიზნის მიღწევას, მას დღესაც თუ არ შეუძლია ერთის დაკვირვებით გამარჯვების მოპოვება სახელმწიფოში და პირიქით იძულებული ხდება ნაწილ-ნაწილად წაართვის მტერს საჭირო პოზიციები, — უნდა გადაწყვეტილი ვთქვათ, რომ 1848 წ. პროლეტარიატს მით უფრო არ შეეძლო სოციალურ ცვლილებათა შემოღება პოლიტიკურ უფლების ხელში ჩაგდებათ“.

უწინდელ დროინდელი აჯანყება, ქუჩებში ბარიკადებით ბრძოლა, — ამბობს ენგელსი, — ახლა ძალიან მოძველდა. გერმანიის სოციალდემოკრატებმა „საყოველთაო საარჩევნო უფლება ხალხის განთავისუფლების იარაღად გახადა“. მუშათა პარტიის ლეგალური ბრძოლა მთავრობისათვის და ბურჟუაზიისთვის უფრო საშიში შეიქმნა, ვიდრე აშკარა შეტაკება და აჯანყება. „ჩვენ, რევოლუციონერები, უფრო ნამდვილად მივადრწევთ მიზანს ლეგალურ ბრძოლით, ვიდრე აჯანყებით“. პარტიის უახლოვესი მიზანია „თან და თანი პროპაგანდა და პარლამენტში მონაწილეობის მიღება“.

„წავიდა ის დრო, — სწერს ბოლოს ენგელსი, როდესაც შეუზღებელ ხალხის სათავეში მყოფი შეგნებული ჯგუფი ჰქმნიდა მოულოდნელად რევოლუციებს.“

მთელ საზოგადოებრივ წყობილების გარდასაქმნელად საჭიროა ხალხის უმეტესობის საქმეში ჩარევა, ხალხისაგან შე-

გნებული მოქმედება და მოთხოვნილებათა შეგნებული წამოყენება, ამის გავსწავლის უკანასკნელ 50 წლის ისტორია. ხალხში შეგნების შესატანად კი საჭიროა დიდი ხნის მუშაობა. ჩვენმა პარტიამ სწორედ ეს შრომა იკისრა და ამ პარტიის თან და თანი გამარჯვება სასოწარკვეთილებას ჰგვრის მის ყველა მოწინააღმდეგეს“.

ორმოცდა ათი წლის ისტორიამ თუ ენგელსს ასწავლა რამე, — რუსეთის სოციალდემოკრატებმა ამ ისტორიის მაგალითით სრულებით ვერაფერი ისწავლეს. მათი შემაცქერალი იტყვის ძალა-უნებურად, — ისტორიის მაგალითები ქკუსას ვერ გვასწავლიანო. რუსებს ეგონათ, რომ ხუთი წლის პროპაგანდით და მოქმედებით მიაღწევდნენ იმას, რისი მიღწევა ევროპის მუშებმა 50 წლის შრომითაც ვერ მოახერხეს.

ესეც არ კმარა. რამდენი შრომა და ძალა მოუნდა სხვა და სხვა პარტიებთან ბრძოლას, იმ აზრის გარკვევას, რომ მომავალ რევოლუციას პოლიტიკურად „ბურჟუაზიული“, დემოკრატიული ხასიათი ექმნება და არა სოციალისტური. ადამიანს ეგონებოდა, რომ ეს ქეშმარიტება ყველამ შეიგნო, მაგრამ ასრულებათე რომ მიდგა საქმე, აშკარად გამოირკვა, რომ ეს აზრი კარგად შეგნებული არ ჰქონია ზოგიერთს, რომ ახლო-ბელ პოლიტიკურ და მომავალ სოციალისტურ რევოლუციების განსხვავება ყველას არ ესმის, როგორც რიგია.

როგორც მკითხველი თითონაც დაინახავდა მარქსის და ენგელსის შეხედულების გაცნობით პროლეტარიატის დიქტატურაზე, 1849 წელსაც კი, როდესაც მარქსი ჯერ კიდევ სრულიად არ განთავისუფლებულიყო ბლანკიზმისაგან, მას მიიწვ გარკვევით ესმოდა, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა“ მხოლოდ გარდამავალი საფეხურია „სოციალისტურ რევოლუციის“ შემდეგისთვის, მარქსიზმის 10 წლის განვითარებამ მარქსი ბლანკიზმს საესებით ჩამოაცალა. რუსეთში კი სოციალისტურ რევოლუციის შემქმნელთ პროლეტარიატის დიქტატურა პოლიტიკურ რევოლუციაში გადაიტენს და მოინდომეს მის საშუალებით თვითპყრობელობის ადგილას შემოეღოთ დემოკრატიული კონსტიტუცია. ამ საშინელ ნახტომით რუსეთის სოციალდემოკრატია სრულებით ჩამოეცალა მარქსისტულ აზროვნებას და იაკობინიზმისა და ბლანკიზმის სამთავროში გადახტა.

ამის შემდეგ ადვილი გასაგები ხდება გაზ. „ნაჩალოს“ (№ 7) სიტყვებიც: „ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენი რევოლუცია დემოკრატიულ რევოლუციის სახით დაწყებული, ბოლოს სოციალისტურ რევოლუციის სახეს მიიღებს“. „ნაჩალოს“ გვერდში ამოუდგა „ნოვია თიზნიც“, სადაც რევოლუციის „შეუწყვეტელობას“ ჰქადაგობდა ბ-ნი ლუნაჩარსკი. თავის თავად ცხადია, რომ დედამიწაზე ყველაფერი „შეუწყვეტელია“, რომ ამ სოფლის ბოლო შეკავშირებულთა მის სათავესთან, მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნა თვით ბ. პლენხანოვმა, „რამე პროცესის შეუწყვეტელობა ჩვენ ნებას არ გვაძლევს მისი შემდგენელი სხვადასხვა მოვლენა უყურადღებოდ დავადლოთ... ნებას არ გვაძლევს ბურჟუაზიულ რევოლუციის წინააღმდეგ ვილაპარაკოთ ისეთის ენით, რომელიც მხოლოდ ამ რევოლუციის შემდეგ იქმნებოდა შესაწყნარებელი“. (დლიურის № 4).

აი ეს უბრალო ქეშმარიტება, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციის წინა დღეს არ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკი, — ვერ შეიგნეს რუსეთში „მარქსისტებმა“, გრძნობამ მათში გონების სძლია. „მარქსისტები“ ხედავდნენ, რომ ახლანდელ მოძრაობაში პროლეტარიატის პოლიტიკურ

ძალას დიადი მნიშვნელობა ექმნება, რომ პროლეტარიატი სხვა კლასებზე უფრო მხედ და თავგამოდებით იბრძვის თავისუფლების დასამყარებლად, მსხვერპლსაც მეტს სწირავს ამ საქმეს და ამიტომ მათ შეუძლებლად მიაჩნდათ გამარჯვების შემდეგ პირველი ადგილი სხვა კლასებისათვის დაეთმოთ. ამნაირ საქციელისთვის საჭირო იყო ბევრი მხნეობა, წინდახედულობა, გაბედულობა და თავის მიმყოფა სრული იმედი. ყველა ეს თვისება ჰქონდათ იაპონელებს უკანასკნელ ომიანობის დროს. ისინი ნელ-ნელა იწყობდნენ წინ, ყოველ ახლად აღებულ პოზიციაზე სიმაგრეს აგებდნენ. ამისათვის მათ ამტკუნებდნენ გარეშე მაყურებლები, გაიძახოდნენ, —იაპონელებს გენიოსობა აკლიათო, მათ არ იციან გამარჯვების გამოყენებაო. ახლა კი ასეთ საყვედურის უსაფუძვლოება ცხადი შეიქმნა. იაპონელები გამარჯვებული დარჩნენ სწორედ იმიტომ, რომ მოწინააღმდეგის ძალთა არაფრად ჩაგდება არ იცოდნენ. სჯობია ისევ მოწინააღმდეგის ძალა გააზვიადოს ადამიანმა, ვინაიდან მაშინ გამარჯვების მოსაპოვებლად ეცდება თავისი ძალა გააორკეცოს...

17 ოქტომბერს არავითარი რევოლუცია არ მომხდარა რუსეთში, ეს იყო მხოლოდ რევოლუციის წინამორბედი. მაინც სტუში მოხსენებულ რეფორმებს თავისი ნამდვილი, სარევიოლუციო ხასიათი რომ მიეღოთ, ამისათვის საჭირო იყო, რომ მათ განხორციელებამდის სახელმწიფო უფლება ახალ კლასის ხელში გადასულიყო, რომ ბიუროკრატის თავისი პოზიციები დაეთმო. უფლების ერთ ხელიდან მეორე ხელში გადასვლა ჩვენ რაღაც რომანტიულ თედასხმის სახით არა გვაქვს წარმოდგენილი, პირიქით გვგონია რომ მის სისრულეში მოსაყვანად საჭიროა ჩინოვნიკების მშვიდობიანი გამოცვლა, როგორც მოხდა იგი, მაგ., საფრანგეთში, როდესაც გამბეტტამ და რესპუბლიკელებმა დაამარცხეს მაკ-მაგონის მომხრენი. აქ შეიძლება სხვა და სხვა მოულოდნელი შემთხვევაც მოხდეს, მაგრამ ნამდვილი პოლიტიკოსი მათაც არ შეუშინდება.

ვის ხელში შეიძლება უფლების გადაცემა? ვიტყვი პირდაპირ: მხოლოდ ერობის მოღვაწეთა და მესამე ელემენტის ხელში, იმათ ხელში, ვინც წინეთ „განთავისუფლების კავშირს“ შეადგენდნენ და ახლა კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით მოქმედებენ. თქმა არ უნდა მას რომ ისინი სიამოვნებით მიიკვლდნენ პროლეტარიატის მეთაურებსაც.

პროლეტარიატის მეთაურებს ერთ წუთსაც არ უნდა ეცადათ პროლეტარიატის თავისებურობის მოსპობა და მისი შეერთება და შედუღება სხვა კლასებთან და პარტიებთან. ეს შედუღება შეუძლებელიც არის. მაგრამ პროლეტარიატს უნდა შეეგნოს საქმის მდგომარეობა, უნდა გაეგოს, რომ ახლა ხდება მხოლოდ დემოკრატიული და პოლიტიკური რევოლუცია და ამიტომ მთელი თავისი ძალდონით უნდა გაემაგრებინათ ის ჯგუფები, რომლის ხელშიაც სახელმწიფო უფლება გადავა. სამაგიეროდ პროლეტარიატი სხვა ჯ სხვა გარანტიებს მიიღებდა, პროფესიონალურ კავშირების და პრესის თავისუფლებას, ურომლისოდაც მუშებისთვის შეუძლებელია დიად და წესიერ ბრძოლის მოწყობა.

მთავრობა ოპოზიციის ერთსულობის წინ შედრკებოდა, რაკი აშკარად დაინახვდა რომ ერობათა წარმომადგენლებს ხალხიც მხარს უჭერს, და იძულებული შეიქმნებოდა უკან დახეულიყო და ზოგიერთი პოზიცია დაეთმო.

მე უკვე მესმის აღშფოთებული ძახილი: „როგორ? დავამცირით პროლეტარიატი და იგი ბურჟუაზიის იარაღად გავხადოთ“? ჯერ ერთი, რომ აღშფოთება არ არის საჭირო. ეს „იარაღად გავხადოა“ კი არა, შეგნებული კავშირი არის. ერობის წარმომადგენლები, სახელმწიფოს სათავეში დამდგარი, ხალხს ვერ „მოატყველებდნენ“, ვინაიდან ბიუროკრატია არც ისეთი უმნიშვნელო მოწინააღმდეგეა, როგორც ზოგიერთს ეგონა. მეორეს მხრივ კი ის ფასი, რომელსაც ჰპირდებოდნენ ის წარმომადგენლები დახმარებისთვის, არც ესეთი მცირეა, როგორც ამბობდნენ. ახლა, როდესაც გაატყვება იშლებება, ყველას ესმის, რომ სარევიოლუციო აღფრთოვანებით გამოწვეულმა გაერთიანებამ ვერ მოახერხა თანდათან საორგანიზაციო მოქმედების მაგიერობა, იმ მოქმედების, რომლისთვისაც საჭიროა პრესის, კრებების, კავშირების თავისუფლება და საზოგადოდ მუშათა მოძრაობის ლეკალურ კლასპოტში ჩაგდება. მაგრამ სოციალდემოკრატებმა ყველა ეს მოსაზრება უარჰყვეს, მათ გადაწყვიტეს, ჩვენ ბრძოლისთვის საკმარისი ძალდონე შეგვწევს, რომ ბიუროკრატისთან ერთად ბურჟუაზიაც დავამარცხოთო. გაზეთებში და მიტინგებზე „ლიბერალებს“ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს, რვა საათიან სამუშაო დღის შემოდებით მიიტანეს იერიში მსხვილ ბურჟუაზიაზე, წვრილი ბურჟუაზია დაამინეს შეიარაღებულ აჯანყებით, დაუსრულებელ გაფიცვებით, და მოსალოდნელ ეკონომიურ განადგურების შიშით. ამის ნაყოფი ყველამ იცის. ამ ნაყოფის შესახებ ლაპარაკიც კი გულს უკლავს ადამიანს, მაგრამ მისი გადაფურჩეება არ შეიძლება. ეს ნაყოფი — დამარცხება, განადგურება...

მთელი მოძრაობა საზოგადოდ „შეგნებას“ მოკლებული გამოდგა. თუმცა ახლა მოძრაობაში მოწინააღმდეგის იღებდნენ სოციალდემოკრატები და პროლეტარიატი, ეს მოძრაობა მაინც ისევე უწინდელ მოძრაობებს ჰგავდა, — აქაც „შეუგნებელ უმეტესობის სათავეში მოქმედებდა შეგნებული უმცირესობა“. ამნაირ მოძრაობის ხასიათი შესანიშნავად აქვს დახასიათებული ი თვით ენგელის-

„პირველივე შესამჩნევ გამარჯვების შემდეგ გამარჯვებულთა ბანაკში განხეთქილება იწყებოდა. ერთი ნაწილი კმაყოფილდებოდა ახლად მოპოვებულ უფლებებით, მეორე ნაწილი კი ბრძოლის გაგრძობას არჩევდა, ახალ მოთხოვნილებებით გამოდიოდა, რომელიც ნამდვილად ან გარეგანდ მაინც ეთანხმებოდა ხალხის საჭიროებას. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ახალი მოთხოვნილებაც ყოფილა შესრულებული, მაგრამ ხშირად მათი შესრულება დროებითი რჩებოდა. ზომიერი პარტია ისევ იმარჯვებდა, და უკანასკნელ გამარჯვების ნაყოფი სავსებით ან ზოგიერთ ნაწილში ისპობოდა. დამარცხებულები იწყებდნენ ყვირილს, ღალატიაო, და თავიანთ დამარცხებას რამე შემთხვევით ხსნიდნენ. ნამდვილად კი პირველ გამარჯვების ნაყოფი მხოლოდ მეორე გამარჯვების შემდეგ გამაგრებულია, უფრო რადიკალა პარტიის გამარჯვებით. ამის შემდეგ რადიკალები და მათი გამარჯვებაც ჰქრებოდნენ და ადგილს ზომიერ პარტიებს უთმობდნენ.“

ეს სიტყვები ენგელსმა ცხრა წლის წინეთ დასწერა, მაგრამ კითხულობ მათ და გვგონია, თითქო მას რუსეთის ახლანდელი მდგომარეობა აეწეროს და თითქო იგი ამ სიტყვებით იმას ამბობდეს, უკანასკნელი მოძრაობა „წესიერების მომხრეთა“ სასარგებლო გახდებოდა.

გრძნობაზე დამყარებულმა მოძრაობამ შეგნებულ მოძრაობას უნდა დაუთმოს ადგილი. პროლეტარიატი ვალკე პო-

ლიტიკურ პარტიის სახით უნდა შეერთდეს და ამნაირ პარტიად, ჩემის აზრით უნდა იყოს სოციალ-დემოკრატია, თუ იგი ბოლოს მაინც ნამდვილ ტაქტიკას მიაგნებს. მთავარი მეცადინეობა უნდა მოხმარდეს მუშების შეერთებას, პროფესიონალურ კავშირების მოწყობას. მაგრამ ეს შეკავშირება უნდა იყოს მტკიცე, შეურყეველი, და არა შემთხვევითი, განზრახული ერთ რომელიმე პოლიტიკურ შეტაკებისთვის.

პროლეტარიატის დიქტატურაზე ფიქრიც კი ჯერ ჯერობით სრულებით უნდა დასტოვოს ადამიანმა. ამ დიქტატურაზე ლაპარაკი შესაძლებელი შეიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე დამყარდება სახელმწიფოში ნამდვილი საკონსტიტუციო და საპარლამენტო წესწყობილება, და თვით მაშინაც ამ დიქტატურას ბლანკისტურ შეთქმულების ხასიათი არ მიეცემა. იგი იქმნება მხოლოდ პროლეტარიატისგან სახელმწიფო მართვა გამგეობის საქმეში გარეგის უკანასკნელი შედეგი. იგი მხოლოდ ცოცხის უკანასკნელი გასმა იქმნება.

ამ ჟამად კი პროლეტარიატის, როგორც სხვა ოპოზიციონურ ჯგუფების პოლიტიკური მოქმედება უნდა იყოს მმართველი სახელმწიფო სათათბიროსკენ. თვით სათათბიროში ბრძოლა, სათათბიროზე გარდნაც ვაგენენა—აი ეს არის ჩვენი უმთავრესი სასრუნველი ამ ჟამად. ამიტომ მთავრობის მეცადინეობის მიუხედავად უნდა მივიღოთ მონაწილეობა საარჩევნო აგიტაციაში, ამრჩევთა და წარმომადგენელთა არჩევის საქმეში. პროლეტარიატს თავისიანების არჩევა თუ შეუძლია, უნდა ეცადოს იმათი არჩევა. ასეთი შედეგი თუ მათთვის საგეჟო არის, არ უნდა შეუშინდეს ნამდვილ კონსტიტუციონალურ პარტიებთან შეკავშირებას.

ადვილი შესაძლებელია, რომ ნამდვილი კონსტიტუციონალური ელემენტები სახელმწიფო სათათბიროში მხოლოდ უმცირესობას წარმოადგენენ. მაგრამ მათ სიტყვას შესაძენე ვად მეტი მნიშვნელობა მიენიჭება, თუ ხალხი სათათბიროს გარედან მათ მხარს მისცემს და გაამაგრებს. პროლეტარიატმა და გლეხობამაც უნდა შეიგნონ, თუ რა მნიშვნელობა ექმნება მათთვის ამ მოქმედებას და უნდა შეუწყონ ხელი სათათბიროს ოპოზიციას. ეს ხელის შეწყობა არ ნიშნავს საკუთარ იდეალების უარის ყოფას, საკუთარ პროგრამაზე ხელის აღებას. როგორც კი შემოვა მკვიდრად სახელმწიფოში საკონსტიტუციო გარანტიები, ყოველი პოლიტიკური პარტია დაიბრუნებს მოქმედების სრულ თავისუფლებას. (პოლ. ზეზუა. №10)

**თანამედროვე მითარება.**

2.

რაც მეტი დრო გადის, რუსეთის სარევოლუციო მოძრაობას თან და თან მეტი სისასტიკე და სისხლის დერა მოსდევს, და ვერავინ იტყვის, როდის დასრულდება ეს საშინაო ომი, რომელმაც ამდენ უღანაშულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ორი მოწინააღმდეგე ძალა რუსეთში ერთმანეთს დაუპირდაპირდა. მთავრობამ დროზედ ვერ შეამჩნია წინეთ ყოველთვის მორჩილ და დაქვეითებულ ხალხის გამოფხიზლება და მის ახალ მოთხოვნებთან დაკმაყოფილება ვერ მოახერხა. ხალხი, ამის გამო გულ გატეხილი, თვითონ შეუდგა ცხოვრების გარდაქმნას,—მის მისწრაფებას მიზნად დაედო განთავისუფლება იმ ბოროტებისგან, რომელიც ჰპოქავდა მის

გონებრივ და ეკონომიურ განვითარებას. განმათავისუფლებელი მოძრაობა, ჯერ სუსტი და გაუბედვი, თან და თან გაიზარდა და გაძლიერდა, მასთან ერთად გაძლიერდა ძველ წყობილების მომხრეთა წინააღმდეგობაც, ძველის და ახლის მომხრეთა შორის განხეთქილება დან და თან იზრდებოდა და აშკარა ბრძოლის სახეს იღებდა.

ამ ბრძოლის, ნამდვილ შინაურ ბრძოლის დროს, ორივე მოწინააღმდეგე ძალის მტრულ მოქმედებას ხშირად ემჩნეოდა დიდი სისასტიკე და შეუბრალებლობა. ბრძოლის იარაღად ერთის მხრივ თუ იყო დატუსაღება, გადასახლება და სასამართლოში მიცემა, ხშირად სიკვდილით დასჯაც, მეორეს მხრივაც რევოლუციის ტყვიას და ყუმბარას ააა ერთი, სარევოლუციო მოძრაობის მოწინააღმდეგე მოუკლავს. ერთის მხრივ მოქმედობდნენ თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული ჯარის კაცები, მეორეს მხრივ კი ე. წ. მებრძოლი რაზმები...

ჩვენ ყველას გვახსოვს, როგორ აშფოთებდა და აღელვებდა საზოგადოებას პირველში ყოველივე ადამიანის დატუსაღება, მით უფრო სიკვდილი,—სულ ერთია, რომელ ბანაკის მომხრე ისჯებოდა ან კვდებოდა. აშფოთებდა ძალმომრეობა, ამბობდნენ, რომ კერძო ადამიანის სიკვდილს არ შეუძლია შესვალა ისტორიის მსვლელობა, და რომ ამიტომ მისი მოკვლა არაფრით გასამართლებელი არ არის...

მაგრამ ამ აღშფოთებას მებრძოლი მოწინააღმდეგენი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ და თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სისასტიკით და შეუბრალებლობით.

დღეს შინაური ბრძოლა ჯერ დასრულებული არ არის, მაგრამ მაინც თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ისევ ძველ წყობილების მომხრენი არიან. მათ ხელში ხიშტი, ტყვია და ზმალი მუსრს ავლებს რუსეთს. რევოლუციონერებს თუ ათობით მოუკლავს ძველი წყობილების მომხრენი და უმეტეს ნაწილად თუ ისეთი ადამიანი მოუკლავთ, რომელიც მათის, აზრით, დამნაშავეა, როგორც განმათავისუფლებელ მოძრაობის ხელის შემშლელი, ძველ წყობილების მომხრენი, რევოლუციონერებით გამოჯავრებულები, განურჩევლად ჰკლავენ ბრალიანსა და უბრალოს, გარეშე ხალხში ათასგვარ ძალმომრეობას სჩადიან, ასობით და ათასობით ხოცავენ, ატუსაღებენ და ანადგურებენ ყველას, ვინც გზაში გადაეფეთებთ შემთხვევით. სამოკდა თით ათასზე მეტი პოლიტიკური ტუსალი ციხეებში დამწყვდეულია, ბევრად ამაზე მეტია გადასახლებული და სამსახურიდან დათხოვნილ დღიურ ლუკმა პურს მოკლებული, სასამართლოში საქმის განურჩევლად რომელიმე აფიცრის ან ჟანდარმის გადაწყვეტილებით დახვერტილი, გაძარცვული, გაუპატიურებული, დასახიჩრებული და გაღახული... და საშინელება ის არის, რომ „მსაჯულთა“ სისასტიკე უმეტეს ნაწილად სულ უღანაშულო ხალხს ხედება, იმათ, ვინც სრულებით არავითარ აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა უკანასკნელი დროს მოძრაობაში: სისასტიკეს საზღვარი აღარ აქვს: ერთი ღენერალი ხალხს მთელი დღეობით აჩოქინებს სუსხიან დღეს თოვლში, მეორე ალახენებს „ურჩებს“, მესამე აცხადებს, „ერთი რამე თუ არ დასრულეთ ჩემი ნაბრძანები, მთელ სოფელს გადავწყვავ და გავანადგურებო“, პოლონეთში ერთმა ღენერალმა ისიც ბრძანა, ვისმე იარაღი თუ აღმოაჩნდა, სიკვდილით დაესჯო... გახშირდა სიკვდილით დასჯა. სჯიან დახვერტით და ჩამოხჩობით პოლიციელის მოკვლის განზრახვისთვისაც, სჯიან სიკვდილით, თუმცა სიკვდილით დასჯა შარშან, თითქო, მოსპობილიადაც იყო გამოცხადებული მთა-

ერობისაგან. ამ ოფიციალურ სისასტიკეს არა ოფიციალურიც მოჰყვება, — მას ბრძანებთა აღმასრულებელნი სჩადიან, დატუსაღებულენს ლახვენ და გზაშივე ჰკლავენ, მერმე ამბობენ, გაქცევა დააპირაო, ქალებს ნამუსსა ხდიან, წაქცეულს და ტყვიით დაქრილ ადამიანს ქუსლებით ეფევენ, ქუსლით იარას უჯიჯგნიან, დატუსაღებულ ქალს სცემენ და თან უბძანებენ: მაკოცე, მომეხვიეო, ან დასცინიან, — ძროხასავით რატომ ბლავიო. სისხლი უშრება ადამიანს, მისი თავი საშუალო საუკუნოებში, ან ბარბაროსთა ქვეყანაში ჰკონია, როდესაც ყველა ამ საშინელ სისასტიკის გულშემზარავ ამბებს კითხულობს... და ჰგძნობს ყველა, რომ არ შეიძლება ყველა ამ ამბებმა უმნიშვნელოდ ჩაიაროს და ხალხის მხრივ შურის ძიების ძლიერი გრძნობა არ გამოიწვიოს..

რას ფიქრობენ ამ უსარგებლო და უმიზნო სისასტიკის ჩამდენნი? სისხლის შეხედვა ათრობს ადამიანს, განურჩეველი სისასტიკე ხალხში თავის დაცვის გრძნობას აღვიძებს და მომავალში კიდევ ზედ მეტ სისასტიკისთვის ნიადაგს ამზადებს. სიბრალოული ავიწყდება ხალხს, იგი თან და თან ეჩვენება იმ აზრს, რომ მშვიდობიანი ბრძოლა არ შეიძლება, რომ მხოლოდ სისხლია საქმის გადამწყვეტი, მხოლოდ მუშტი, მკრელი ხმალი და ტყვია. კულტურული ბრძოლა იდგილს უთმობს ტყვიას და ხმალსა და იქ, სადაც ერთი მოწინააღმდეგე გვერდს უხვევს კულტურულ ბრძოლას და ძალას მიმართავს, ამით იგი თავის მოწინააღმდეგესაც აიძულებს ამავე საშუალებას მიმართოს და, სისხლის ღვრას შეჩვეული, სისასტიკეში გამოწვეთნილი საზოგადოება ამას არ გაიკვირებს, — ასეთი ბრძოლა მაზნის მისაღწევად და ახალ, სასურველ წყობილების დასამყარებლად მას არ აღაშფოთებს, პირიქით ბრძოლის ერთად ერთ მისაღებ სახედ მოეჩვენება... და ვინ მოახერხებს ამის შედეგი ეხლავე მოსთვალოს?..

ზედ მეტი სისასტიკე და დასჯაში ბრალიანისა და უბრალოსი განურჩევლობა მხოლოდ ახალ სისხლის ღვრის მიზეზად ხდება და ამიტომ ყოველი გონიერი ადამიანი, რომელსაც აწუხებს ქვეყნის უბედურება, იმის დანახვაზე, რაც ეხლა რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში ხდება, ძალა უნებურად შესძახებს იმათ, ვინც ხალხის სისხლსა ღვრის:

— გონს მოდიოთ!... სკუშარა.

შ ი მ ე რ ი ა შ ი მ ი ნ ე

4 თებერვალს სრული 50 წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც გარდაიცვალა მეცხრამეტე საუკუნეს ერთი უდიდესი მგოსანი, ჰენრიხ ჰენინე. ბაირონს შემდეგ არც ერთ სხვა მგოსანს არ ჰყოლია იმდენი მიმდევარი, მაქებარი და მიძაგებელი, რამდენიც ჰყავდა ჰენინეს. ახლაც კიდევ მას ჰბაძავენ, აძაგებენ და აქებენ. ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ეს დიადი, ენა მახვილი და დამცინევი, მაგრამ ამასთან ერთად ნაზი და მოსიყვარულე მგოსანი ძალაუნებურად მოეწონება ყველას, ვისაც კი მისი ნაწერი წაუკითხავს როდისმე. თავის თავს ჰენინე უძახდა „სული წმინდისა რაინდს“, მაგრამ მისმა კრიტიკოსებმა მასში რამოდენიმე სული აღმოაჩინეს, ყველა გაურკვეველი და მიშვიდველი.

დაბადებით ჰენინე ებრაელი იყო და, თუმცა შემდეგ ქრისტიანობა მიიღო და ყოველ საშუალებას ხმარობდა, რომ ებრაელს არაფრით არ დამეგანებოდა, მაგრამ მაინც ებრალობა მას შერჩა და აშკარად ეტყობა ყველა მის ნაწერს,

რომელიც გალექილი არ არის. გერმანელად ჩაითვლება ჰენინე თავის ენით, აზრებით, რწმენით და მოღვაწეობით. მასში ფრანგულიც ბევრი რამ იყო, რომელიც ზაფხობითვე შეითვისა და შემდეგ განივითარა პარიზში, სადაც მან 25 წელიწადს იცხოვრა და სადაც შემდეგ გარდაიცვალა. ამასთან ძველ ბერძნების ხასიათიც ემჩნეოდა მას და ჰანთისტკერბთაყვანისმცემლის ზოგიერთი თვისებაც.

ასეთი რთული ხასიათი, რომელშიც მალაქაცობრიულიც ბევრი რამ იყო, ადვილი გამოსაცნობი არ არის. მასში ძალა უნებურად იქმნება ბევრი წინააღმდეგობა და ჰენინეც სწორედ ასეთი იყო. მას ხასიათის სიმტკიცე აკლდა, მას არ ჰქონია გარკვეული შეხედულება, თითქმის ერთი გარკვეული მიმართულებაც აკლდა.

ასეთი მწვერილი გერმანელებს, რასაკვირველია, არ მოეწონებათ, რადგანაც გერმანელები ჯერ იმას გეკითხებიან, საითკენ მიისწრაფები ან რა მიზანი გაქვს დასახულიო. ასეთ კითხვებზე ჰენინე გადაქრილ პასუხს არ იძლეოდა, ხშირად იცვლიდა აზრებს, — ხან ნაპოლეონის თაყვანისმცემელი იყო, ხან კიდევ რევოლუციონერობას იწყებდა, ხან არისტოკრატად გამოდიოდა, თანასწორად თაყვანსა სცემდა ლუთერს და ვოლტერს, ხან ცრემლებს ღვრიდა გერმანიისთვის, ხან კიდევ მასვე ცოლსა სწამებდა, — ერთის სიტყვით დაუდგრომელი და სიმტკიცეს მოკლებული იყო ყოველთვის.

მაგრამ ჰენრიხ ჰენინეში ჩვენ მგოსანი უნდა განვაშოროთ პოლიტიკურ მწერალს და მაშინ ძალა-უნებურად აღვიარებთ, რომ იგი, როგორც მგოსანი, ჯერ კიდევ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იცოცხლებს, — თუმცა, როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მწერალი იგი უკვე კვდარია.

ჰენინე გერმანიაში გიოტეს შემდეგ უდიდეს ლირიკოსად უნდა ჩაითვალოს. არც რიუკერტი, ულანდი და არც პლატენი მას ვერ შეედრებიან თავის ვატაცებით, მხატვრულის ნიჭით და გრძნობიერებით. მის პატარი ლექსებს სახალხო ლექსების ელფერი ადებს, სიმარტივის გამო ეს ლექსები გავრცელდნენ ხალხში. მართალია, რომ შინაარსით ამ ლექსებს მრავალფეროვანება აკლდა, მაგრამ მათში გამოხატულია ის გრძნობები, რომელიც ყველას უღვავის გულში. მისმა წიგნმა, „სიმღერათა კრებულმა“, მოკლე ხანში დიდი სახელი გაუთქვა, ზოგი ლექსი სასიმღერო ლექსად შეიქმნა, ყველა ენაზე დაიწყეს მათი გადათარგმნა... ამ ლექსებში უმთავრესი ადგილი უჭირავს სიყვარულს, და ყველაში მგოსანი თავისებურის ენამახვილობით ასწერს ამ გრძნობას. თვით ამ კრებულში ჰენინე სატირიულს ნიქსაც იჩენს, თუმცა იმდენად არა, როგორც შემდეგი დროს ნაწერებში. აქ ჰენინე ჯერ კიდევ „გერმანელი ბულბული არის, რომელმაც ბუდე მოიწყო ვოლტერის თიმბში.“

ამ კრებულის შემდეგ ჰენინემ კიდევ მეორე კრებული გამოსცა, მაგრამ ამ ახალ ლექსებში მან ველარმოახერხა ისეთისავე გულწრფელობით გადაეცა თავისი გრძნობანი, როგორც პირველ კრებულში. მისი დაცინვა აქ სინაზეს მოკლებულია: მან ვერ მოახერხა ახალგაზღვრი გრძნობები ხელმეორე აწერა: მხოლოდ გაზაფხულის ყვავილებს ემჩნევა სინაზე.

გრძნობის აწერის შემდეგ ჰენინემ პოლიტიკურ ირონიას მოჰკიდა ხელი და აქ მისმა ენამახვილობამ, თავისი ნამდვილი ძალა გამოიჩინა; მისი გაბედულება, მისი სატირული ნიჭი, მისი მხნეობა ელვასავით სჭრიდა და ლახვარივით ეცემოდა მოწინააღმდეგეთ. „გერმანია“, „ატტა ტროლ“ და „თანამედროვე ლექსები“ სიცოცხლეს და ახალგაზღვრ მხნეობას

ჰგერიდა ყველას. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მან დიდად შეუწყო ხელი ლიბერალიზმის განვითარებას. მაგრამ მას გარკვეული პოლიტიკური რწმენა არ ჰქონდა, მისი აზრი ყოველთვის იყო დამოკიდებული წუთიერ შთაბეჭდილებებზე, — მხოლოდ ერთ რამეში იგი უცვლელი იყო და შეუტყვეველი, — ეს არის მისი სიძულვილი პრუსიისადმი. ამასთან მას ნათლად წარმოდგენილი არ ჰქონდა გერმანიის გაერთიანების საკიროება და ეს გაერთიანება სისულელედ მიიჩნდა. მაგრამ მისი პოლიტიკური შეხედულება სხვა კითხვებშიაც შემცდარი გამოდგა და ამიტომ მის პოლიტიკურ ნაწერებს ამ ჟამად მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, და მათ ახლაც თუ კითხულობენ, მხოლოდ იმისთვის, რომ დასტუბენ დამწერის ენა მახვილობით.

ენა მახვილობა ჰეინესი უძლიერესი იარაღი იყო და იგი მის ყველა ნაწერს ეტყობა. ყოველი მისგან აწერილი სურათი რამე სიმახვილით თავდება. ყველა მის ნაწერებში, ლექსებში, მოგზაურობის აწერაში; პარიზიდან გამოგზავნილ წერილებში თვით იქაც კი, სადაც სიღინჯე უნდა, მისი ხუმრობა და ენამახვილობა მიანიჭ თავს იჩენს. მას მოწყენილება არ შეუძლია, მისი გრძნობიერი ტ მოძრავი ქუავერ იტანდა დამშვიდების, მოწყენილობას, — ხშირ დ ცრემლ მორეულიც ისეთ ნაკვესებს ისროდა, რომ მკითხველი, ძალა უნებურად, სიცილს იწყებს მათ წაკითხვაზე. მისი დამცინავი კილო განსაკუთრებულ ძილას იჩენს ლექსში: „თევზის მოვაჭრესი ხომალდი“. იშვიათად შეხვდება ადამიანს სხვა ლექსი, რომელშიაც ასე მკვახედ ყოფილიყოს აწერილი ვაქრების აღვირ ახსნილი გაუმადლობა.

დიდ თხზულებებისთვის ჰეინეს სიღინჯე აკლდა, მას პოემების დაწერა არასოდეს არ შესძლებია. მისი „ალმანხორი“ და „რადკლიფი“ ყოველივე დრამატისმს მოკლებული სალორიკო პოემებია. აღმოსავლეთის მცხოვრებთათვის ჰეინეს ლექსებს განსაკუთრებული მიმზიდველობა აქვს მის მხატვრულ ნიჭს და ბუნების აწერილობას. მან ძველ სპარსეთის აწერაც მოინდომა თავის ლექსში. რომელსაც „ფირდუსი“ დაარქვა, და რომელშიაც ისეთი სისწორით არის აწერილი აღმოსავლეთის ცხოვრება, თითქო ჰეინეს დაახლოვებით იცნობდეს.

ახლა უკვე 50 წელიწადია გასული მას შემდეგ, რაც ჰეინე გარდაიცვალა. ყველა ხალხის ენაზე გადათარგმნილია მისი ლექსები და პროზა და ყველა ენაზე გამოცემულია წიგნები ჰეინეს მწერლობის დასახასიათებლად; სომხურ ენაზედაც გადათარგმნილია ჰეინესი თითქმის ყველა ნაწარმოები, — მხოლოდ ქართულ ენაზე ჰეინეს ლექსები სრულად გადათარგმნილი არ არის... მაგრამ ქართულად ხომ თითქმის არც ერთი ევროპის გამოჩენილი თხზულება არ არსებობს და, მართლაც, ქართველები, საუბედუროდ, არც კი ცდილობენ თავიანთი მწერლობა გაამდიდრონ სხვა ენებიდან ნათარგმნით.

არტურ ლეისტი

სახელმწიფო დაზღვევა მუშებისა გერმანიაში

წარსულ საუკუნის მეოთხმეცე წლებში გერმანიის მთავრობას საბოლოოდ დარწმუნდა და შეიკანა, რომ მხოლოდ რეპრესიებისა და ძალით სოციალ დემოკრატებთან ვერას გახდება. საჭირო იყო მუშათა ცხოვრებაში აქტიური ჩარევა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. 1881 წ. 17 ნოემბერს მთავრობამ პირველი ნაბიჯი გადასდგა მუშებისკენ, მას მოჰყვა მეორე, მესამე და მას აქვთ მუშათა შესახებ კანონმდებლობა პროგრესიულად ვითარდება. 1883 წ.

შემოიღეს სავალდებულო დაზღვევა ავადმყოფობის დროს, 1884 წ. გამოიცა კანონი დაზღვევის უბედურ შემთხვევების დროს და 1887 წ. გამოვიდა უკანასკნელი კანონი დაზღვევის დაბერების და მუშაობის შეუძლებლობის დროს.

მუშათა დაზღვევა სამ ნაწილად იყოფა: 1) დაზღვევა ავადმყოფობის, 2) დაზღვევა უბედურ შემთხვევის და 3) დაზღვევა სიბერისა და შრომის ნიჭის დაკარგვის (ინვალიდობის). გერმანიაში დაზღვევა ეხება მრავალ სხვა და სხვა ნაირ ხელობის მუშას. კერძოდ ავადმყოფობის დაზღვევა ეხება შედეგ დაწესებულებებში მომუშავეს: სამრეწველოს, სამთოს, სხედასნოს, საკაჭროს, სასოფლო მეურნეობის ზოგ ადგს; ხედასნებისა, ტუნხაიკებისა, ნაქრებისა და კანტონშიკების დაზღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ისინი წელიწადში 2000 მარკაზე\*) საკლებს იღებენ. ზემონსენებულთა გარდა დაზღვეულ არიან სამთო მადანებისა, ფაბრიკებისა, საკაჭრო დაწესებულებებისა, რეინის ცხებისა, ვერფებისა, ფოსტისა და ტელეგრაფის მოსამსახურენი.

უბედურ შემთხვევების დაზღვევა უფრო მეტ მუშას შეეხება. დაზღვეული არიან: სსიფათო ხელობის მუშები და მსახურნი (ჭეის საშუაობის, დურგლები, მჭედლები, და სხვ.), ძეკეტენი, ფოსტა-ტელეგრაფში მომუშავენი, სსმქედრო და სხვადასამართველებებისა, შერობებზე მომუშავენი და სხვ. ვინც წელიწადში 2000 მარკაზე მეტს იღებს, მის დაზღვევა არ შეიძლება.

სიბერის დაზღვევა შეეხება ეგულს მუშას და მსახურს (16 წლის შემდეგ), ვინც კი 2000 მანეთზე საკლებს იღებს წელიწადში.

ავადმყოფობის დაზღვევა მინდობილი აქვს 22,770 სსავადმყოფოს კასსს. უბედურ შემთხვევების დაზღვევა მინდობილი აქვს პროფესიონალურ ამხანაგებს. მთელი გერმანიის კანსწილებულია 114 პროფესიონალურ სამხანაგოდ. გარდა ამისა დაარსებულია 480 სასეღმწიფო და კომუნალური დაზღვევა დაწესებულება. სიბერისა და ინვალიდობის დაზღვევა მინდობილი აქვს 31 დამზღვევ ოლქს და მთელი გერმანიაც ამდენ ოლქად არის გაყოფილი. მმართველობა და გამკება დაზღვევ დაწესებულების შემდეგ პრინციპსაკ დამუარეული: გამკება საქმისა მათ ხელშია, ვინც გადასახადს იხდას. რადგან სსავადმყოფო კასებში მთელ შემოსავლის 2/3 შეაქვს მუშას, ხოლო 1/3 მუშის დამქირავებელს, ამიტომ გამკების 2/3-საც მუშები ირჩევენ, ხოლო 1/3 ადები, პროფესიონალური ამხანაგობები სხვა ნაირად არის მოწყობილი რადგან უბედურ შემთხვევების დასაზღვევი ხარჯები მარტო წარმოების ზატრონთ აქვთ კონონით დაკისრებული, ამიტომ გამკებობაც მარტო იმათ ხელშია. სიბერისა და ინვალიდობის დაზღვევ დაწესებულების გამკებობას მუშები და ადები თანასწორად ირჩევენ.

ესლა განხობ, რამდენს და როგორ უსდის სსხემწიფო დაზღვევულ და დაბერებულ მუშას, ერთხანად თუ ეოველწიფიერ რენტიით.

თუ მუშა იმდენად დაზღვდა, რომ მას შრომა აღარ შეუძლიან, მას ეძლევა წიფიერ ქიძის 2/3. მაგრამ თუ ისე დასახინდა, რომ მას მოვლა ეჭირვება, მაშინ მას იმდენი ეძლევა, რამდენსაც ის წელიწადში იღებდა. თუ გრდაიფვალა, დასოფლაკებისთვის მის ქირისუფელს ეძლევა არა საკლებ 50 მარკის. ქვრივი იღებს გარდაცვალებულის ჯამავირის არა უმეტეს 600/-ისა. თუ ქვრივი გათხოვდა, ერთბაშად იღებს გარდაცვალებულის წიფიერ ჯამავირის 600/-ს. ინვალიდობის დროს თუ მუშის სსმუშაო ძალა ჩვეულებრივის 1/3-ზე საკლებს შეადგენს, 26 კვირის შემდეგ ეძლევა სსინვალიდო რენტა, რომელიც სამ ნაწილისაგან შესდგება; მუშები სუო ხარისხად არიან დაუოფილნი და 60-დან 100 მარკამდე იღებენ.

\*) გერმანული მარკა უდრის ცხრა შუერს (45 კაპ.).

მაქსიმუმი ინვალიდის რენტის წელიწადში უდრის 450—500 მარკას და ერთდროულ დახმარებას 50 მარკამდე. სიბერის დროს (70 წლ.) მუშა იღებს 110-დან 230 მარკამდე წლიურად ეთავსება წლიური დასახლდევით გადასახადი მუშის მხრით საშუალოდ უდრის იმის ჯამაგირის 3—4%-ს. მრეწველთა და საზოგადოებრივი დაქირავებულები 1/20-ით მეტს იხდიან მუშებზე. აი მაგალითი: 1885—1902 წლებს კრუზინის ქარხნებში მუშების დახმარებაზე 8 მილიონ მარკაზე მეტი დახარჯეს, მუშებმა კი თავიანთ ჯიბიდან 7 მილიონი და 300 ათასი მარკა შეიტანეს. 1902 წელს ამ ქარხნებში ჯამაგირად 31,353,526 მარკა მისცეს მუშებს და 858,520 მარკა დასახლდევ კასებში შეიტანეს, მუშებმა კი ამავე კასებში შეიტანეს 613,842 მარკა. საერთო დასახლდევით ხარჯი ამ ქარხნების უდრის მუშების ქირის 2,70/0—30/0-ს. მეორე მაგალითი: 1892 წელს სახელმწიფო ვერებზე მუშებმა მიიღეს 18,636,980 მარკა. ვერების დასახლდევით ხარჯი ამავე წელს უდრდა 621,223 მარკას, ე. ი. 3,30/0-ს. საშუალოდ მრეწველობა მუშათა დახმარებაზე იხდის 3—40/0-ს საერთო საშუალო ქირისას. მაგრამ ამოდენა ხარჯმა გერმანიის მრეწველობის განვითარებაზე არავითარი გავლენა არ იქონია. შეერთებულ შტატებს გარდა უკანასკნელ ხანებში არც ერთ სახელმწიფოში არ წაუწევია წინ მრეწველობას ისე სწრაფად, როგორც გერმანიაში. მიუხედავად ზემოხსენებულ ხარჯების, საშუალო ქირად სწრაფად მატულობს. სახელმწიფო ხარჯებს გარდა გერმანიის კაპიტალისტები გულუხვობასაც იხიენ და ამხსნევენ კასებს გარდა ბლომი ფულს სწირავენ. 1898 წლიდან 1902 წლამდე კაპიტალისტებმა დამხლდევ კასებს შესწირეს 291 მილიონი, ხოლო მარტო 1902 წელს—83 მილიონი.

აღნიშნულ რამდენიმე საინტერესო ციფრით, რომელიც დახმარების სარგებლობას გვიჩვენებს. ავიდეთ 1901—1902 წლამდე ხარჯთაღრიცხვა. საავადმყოფო კასისში მუშებმა შეიტანეს 130,783,968 მარკა, ჰატრონებმა—58,624,886 მარკა. დასვენებულთა სასარგებლოდ ჰატრონებმა გადაიხადეს 125,663,313 მარკა საინვალიდო კასისში შეიტანეს 69,492,890 მარკა. ამ კასისში მუშებმაც დახმარებები მიიღეს შეიტანეს. გარდა ამის სახელმწიფომ ინვალიდთა და მოხუცთა ფონდის კასისში შეიტანეს 37,849,694 მარკა (1903 წელს სახელმწიფომ გადაიხდა 42 მილიონი). საერთოდ მუშებს გადაუხდათ 20 მილიონი, ჰატრონებს კი 254 მილიონი. დამხლდევ დაწესებულებათა საერთო შემოსავალი ამ წელს უდრდა 52,4 მილიონ მარკას. აქედან საავადმყოფო კასებში მიიღეს 200,3 მილიონი, დასვენებულთა—141,4 მილიონი საინვალიდო—210,6 მილ. აქედან მუშებს და მქირებულებებს გადაუხდათ 450/0 მუშებს—37,640/0, სახელმწიფოს—64,20/0. ამავე წელს საავადმყოფო კასებს მუშებისთვის მიუცათ დახმარებად 195,5 მილიონი მარკა, დანარჩენ კასებს—192,2 მილ., სულ—387,7 მილიონი. როგორც ხედავთ, მუშებს ერთი წლის განმავლობაში უკანვე მიუღიათ 400 მილიონამდე, რაც დღეში 1 მილიონზე მეტს შეადგენს.

1901 წელს ავად კამხდარა 3 983,898 მუშა. საავადმყოფო კასებში ამ წელს საერთოდ 72,446,146 დღის თანხარი საშუალო ქირა გადაუხდა მუშებს. ამავე წელს 653,821 კაცმა მიიღო დასვენების რენტა. 1902 წელს ამ რიცხვს მოემატა 117,336 დასვენებული. 1901 წელს საინვალიდო რენტა ეძლეოდა 486,945 კაცს, ხოლო 1902 წელს ამ რიცხვს მოემატა კიდევ 142,750 კაცი. 1901 წელს რენტა ეძლეოდა აგრეთვე 179,450 მოხუცებულს, 1902 წელს კი მოხუცებულთა რიცხვს მოემატა 12,885 კაცი. თითო კაცის ავადმყოფობა საშუალოდ დაჯდა 46 მარკა, თითო დღე—2,53 მარკა, თითო დასვენებულ კაცის წამლობა დაჯდა საშუალოდ 148 მარკა, დასვენებულთა ოჯახის დახმარება—41 მარკა.

დასვენებულის წლიური რენტა საშუალოდ უდრდა 152 მარკას, ინვალიდის რენტა—150, მოხუცისა კი—153 მარკა. საერთოდ 1902 წელს რენტა ეძლეოდა 1,593,187 კაცს.

დასვენების ისტორიის განხილვად ისევ სტატისტიკის მივართეთ. 1885 წელს, როდესაც გერმანიაში 46,707,000 მცხოვრები იყო, დასვენებულ იქნა ავადმყოფობისგან 4,670,959 კაცი (3,882,156 მამაკაცი და 788,803 დედაცა), უბედურ შემთხვევისგან დასვენებულს 3,251,000 კაცი. ხუთი წლის შემდეგ, ე. ი. 1890 წელს, მცხოვრებთა რიცხვი 49,241,000-ის ავიდა, ხოლო ავადმყოფობისგან დასვენებულთა რიცხვმა მიაღწია 7,018,403-ს. დასვენებისგან—13,680,000. 1892 წელს (მცხოვრებთა რიცხვმა 52 მილიონამდე იმტა) ავადმყოფობისგან დასვენებულს 8,005,797 კაცი, ხოლო დასვენებისგან—16,889,000 კაცი. 1891 წლიდან შემოიღეს ინვალიდების დასვენება და ამავე წელს დასვენებულთა რიცხვი უნებ ავიდა 11,490,000-მდე. 1901 წელს (მცხოვრებთა რიცხვი უდრის 56,862,000) ავადმყოფობისგან დასვენებულს 8,020,514 მამაკაცი და 2,299,050 დედაცა, სულ—10,319,564 სული. 1902 წელს (მცხოვრებთა რიცხვი 1 მილიონით იმატა) ავადმყოფობისგან დასვენებულ იყო 17,582,000 კაცი, ხოლო ინვალიდობისგან—13,380,600 კაცი. 1885 წელს ათას მცხოვრებზე მიიღო 100 დასვენებულ ავადმყოფობისგან, 1901 წელს კი მიიღეს 181. 1895 წელს ათასზე მიიღო 70 დასვენებულ დასვენებისგან, 1902 წელს კი—305.

1901 წელს გერმანიაში იყო 22,770 საავადმყოფო კასისა. დამხლდევ დაწესებულებებში ჩაწერილი იყო 17,582,000 წევრი.

შეტად საინტერესოა შემოსავალ-გასავალი და ქონების რაოდენობა ამ დაწესებულებათა. შემოსავალი საინვალიდო სისტემის სისწრაფით იზრდებოდა და 1901 წელს 526,593,726 მარკამდე ავიდა. 1885 წელს შემოსავალი უდრდა 66,4 მილ., 1890 წელს—147,3 მილ., 1895 წელს—341,5 მილ., 1898 წელს—417,6 მილ., 1899 წელს—455,6 მილ., 1900 წელს—485,6 მილ.; სულ 1885—1901 წლამდე შემოსავალი უდრდა 4,790,884,768 მარკას; აქედან წარმოებს ჰატრონებში შეიტანეს 2,136,325,903 მარკა, მუშებმა—2,046,836,384 მარკა, სახელმწიფომ—214,495,406 მარკა, პროტენტები და სხვა შემოსავალი—393,227,075 მარკა, წარმოებს ჰატრონთა წილი თანდათან იზრდება. 1885 წელს მხოლოდ დასვენებულს 18,3 მილ., 1886 წელს 32 მილ., 1887 წელს—40 მილ., 1892 წელს—130,5 მილ., 1895 წელს—154,7 მილ. 1898 წ.—198,6 მილ., 1900 წელს—212,6 მილ., 1911 წელს—238 მილ. მუშებმა მარცხელ ხანად შეიტანეს 45 მილ., ხოლო უკანასკნელ წელს შეიტანეს 198 მილიონი. 1890 წელს სახელმწიფომ შეიტანა 6 მილიონი, 1901 წელს კი 33,8 მილ.

ხარჯი: 1885 წლიდან 1901 წლამდე ხარჯი შეადგენდა 3,503,443,030 მარკას; აქედან მუშებისთვის გადაუხდათ 3,172,835,957 მარკა, მართვა-გამკვირვებელთა დახმარება 336 მილ. რადგან შემოსავალი გასავალს სჭარბობდა, ამიტომ პირველ წელსვე შეიტანა საერთო თანხა. 1885 წელს მათ ჰქონდათ 31,7 მილიონად დარებული ქონება, 1890 წელს—149,5 მილ., 1895 წელს—672 მილ., 1901 წელს მათი ქონება დიდა 1,298,400,000 მარკა.

1901 წელს ავადმყოფობის დასვენებულ კასებს შემოსავალი ჰქონდათ 200,3 მილიონი: 58,6 მილ. შეიტანეს წარმოების ჰატრონებში, 130,7 მილ.—მუშებმა, 10,9 მილ. შემოვიდა კაპიტალის პროტენტებისგან. ამავე წელს დახმარება 194 მილიონი; აქედან 10,8 მილ. დახმარება მართვა-გამკვირვებელთა, 180,4 მილ. მუშებზე, კემპობაზე დახმარება 37,5 მილ., წამლებზე—38,5 მილ., დასვენებულ მუშებს მათ 81,2 მილ., მათ ოჯახებს—1,7 მილ., მშობიარეთა—

2,6 მილ., საჯადმოფოტოში მათ წამლობაზე—23,1 მილ., დას-  
ფლაკებაზე—5,5 მილ. საჯადმოფოთ კასსებს ამავე წელს ჰქონდათ  
186,6 მილ. საკუთარი თანხა.

უბედურ შემთხვევას დაზღვევის ხარჯი, როგორც ვთქვით, მარ-  
ტო წარმოების პატრონებს აქვთ განიხილ დაჯალბული. 1885—1902  
წლამდის მათ დახარჯეს 1,234,535,643 მარკა. 1890 წელს ხარჯი  
შეადგენდა 38,5 მილ., 1902 წელს კი—125,6 მილ. 1902 წელს  
უბედურ შემთხვევათაგან დამზღვევ დაწესებულებების საკუთარი თანხა  
უდრიდა 199,2 მილიონ მარკას.

ესლა გადაიღეთ ინვალიდობისა და სიბერის დამზღვევ დაწეს-  
ებულებათა შემოსავალ-გასავალზე. 1891—1902 წლამდის მუშებმა  
შეიტანეს 679,5 მილიონი მარკა; პატრონებმაც სწორედ ამდენივე  
გადაიხადეს; სახელმწიფომ გადაიხადა 252,8 მილ., პროცენტები  
და სხვა შემოსავალი უდრიდა 206,7 მილიონს, მარტო 1902 წელს  
შემოსავალი უდრიდა 210,6 მილ., აქედან მუშებმა და პატრონებმა  
თანასწორად შეიტანეს—თითო 63,5 მილიონი,—სახელმწიფომ—  
37,8 მილ. ამავე წელს ინვალიდებს მიეცა 78,5 მილიონი, დაბე-  
რებულთ—23,5, ხარჯი წამლობაზე—9 მილ., დასაფლაკებაზე—  
1,9 მილ. კანტრალი—2,7 მილ., სამედიცინო სამართალზე  
დაიხარჯა 459,490 მარკა და მართვა-გამგებობაზე 7 მილიონი დამ-  
ზღვევ დაწესებულებების საკუთარი კაპიტალი უდრიდა 1,007,477,531  
მარკას. აქედან საერთო საქმეზე დაიხარჯა 321 მილ., ე. ი. 32%/ი; სა-  
ჯადმოფოტოს, სანატორიებსა და ამასთან საქმეზე დაიხარჯა 152,1  
მილ., მუშების სადგომების მოწყობაზე—153,4 მილ., სამეურ-  
ნეო კრედიტზე—67,4 მილიონი.

1885 წლიდან 1903 წლამდის დამზღვევ დაწესებულებებმა  
მუშებს გადაუხადეს 4,018,134,807 მარკა. აქედან საჯადმოფოთ  
კასსებმა მისცეს 2,232,766,756 მარკა, დამავებულებმა მაილეს  
930,868,050 მ., ინვალიდებმა და დაბერებულებმა—554,500,000  
მარკა.

1885 წლიდან 1901 წლამდის მრეწველებს გადაუხდათ  
2,136,000,000 მარკა, მუშებს—2,046,000,000 მარკა. საერთო  
ჯამი შემოსავლისა აღემატება 4 მილიარდ მარკას.

ამ მოკლე ცნობებიდან და მშრად ციფერებიდან მკითხველი  
ნათლად დაინახავს მუშათა დაზღვევის უსაყვარო მნაშენლობას და  
საჭიროებას.

**მომხმარებელი საზოგადოება**

უკანასკნელ დროს რუსეთშიაც გავრცელდა მრავალგვარი  
მომხმარებელი საზოგადოებანი, რომლებშიაც მონაწილეობას  
იღებენ მასწავლებელნი, პროფესორები, მოხელეები, ექიმები,  
ვეტილები, აფიცრები, უბრალო მუშები, მოქალაქენი, გლეხე-  
ბი და საზოგადოდ ყველა წოდებისა და კლასის ხალხი. უმ-  
თავრესი დანიშნულება მომხმარებელ საზოგადოებისა ის არის,  
რომ მისმა წევრებმა, რაც შეიძლება, იაფად მიიღონ ყოველ-  
გვარი საქონელი: ხორცი, პური, ფქვილი, ჩაი, შაქარი, ტანთ-  
საცმელი და სხვა საქონელი ნივთი. მომხმარებელი საზოგადოე-  
ბა ორგანიზაცია: პირველი,—როცა საზოგადოება ამა თუ იმ  
ვაჭართან ან ფირმასთან პირობას სდებს იაფად დაუთმოს მის  
წევრებს საქონელი საქონელი, მეორე გვარი,—როცა საზოგა-  
დოება თვითონ ხსნის დუქნებსა და მაღაზიებს, ყიდულობს  
საქონელს და შედარებით იაფად უთმობს თავის წევრებს და  
ზოგჯერ არა წევრებზედაც ჰყიდის.

მაგრამ საკუთარ მაღაზიის გაღება და წარმართვა ადვილი  
საქმე არ არის. ამისთვის საქონელი ვაჭრობაში გამოცდილება,  
საქონლის ცოდნა და მეტი ფულიც. მცირე თანხით გახსნილ

მაღაზიას არ ექნება ყველა ის საქონელი, რომელიც საქონელი  
წევრებისთვის, ან შეიძლება ბევრი ფულიც ჰქონდეს, მაგრამ  
ზოგიერთ საქონლის ყიდვა და შენახვა სახირო არ იყოს,  
რადგან შეიძლება ასეთი საქონელი იშვიათად გადიოდეს. ამი-  
ტომ ხშირად მომხმარებელი საზოგადოებანი, რომელთაც აქვთ  
საკუთარი მაღაზიები, ზოგ საქონლის შესახებ სხვა ვაჭრებთან  
სდებენ პირობას, რომ ისინი ამ საქონელს იაფად დაუთმო-  
ბენ მათ წევრებს. მოხდება ხოლმე ისეც, რომ საზოგადოებას  
მაღაზიაში საქონელი საქონელი აქვს, მაგრამ ის მაინც ამგვარ  
ხელშეკრულობას სდებს სხვა ვაჭრებთან. ეს მაშინ ხდება, თუ  
მის წევრთა ერთი ნაწილი ძალიან შორს ცხოვრობს საზოგა-  
დოების მაღაზიიდან.

უკანასკნელ ხანებში მეტის მეტად გავრცელდა და გან-  
ვითარდა წვრილი ვაჭრობა, რომელმაც საზოგადოება ხელში  
ჩაიგდო და ისე ჰყვლეფავს, როგორც მას სურს. ეს უფრო  
ემჩნევა სოფელს, სადაც მეწვრიმალებმა პირი შეჰკრეს და  
საქონელს საკუთარი ფასი დაადეს. ამის შესახებ რუსეთში  
არავითარი გამოკვლევა არ არსებობს. საფრანგეთში კი დი-  
დი ხანია შესაფერ სტატისტიკას აწარმოებენ. იქ წვრილი  
ვაჭრები 30 დან 127%/0-ის უმატებენ საქონლის ფასს. შეშახე  
უმატებენ 45%/0-ს, ძებზე—66%/0, კართოფილზე—56%/0,  
ლორზე—127%/0, ქვის ნახშირზე—120%/0 და სხ.

მეცნიერების გამოკვლევით საფრანგეთი წელიწადში 25  
მილიარდ ფრანკის საქონელს ხმარობს; აქედან 71/2 მილიარ-  
დი ვაჭრებს რჩებათ. 5 მილიარდი კონტრიბუცია, რომელიც  
გერმანიამ გადაახდევინა საფრანგეთს, ლოდივით დაწვა სა-  
ფრანგეთის ხალხს, მაგრამ რა არის 5 მილიარდის ნაწილ-ნა-  
წილად გადახდა შედარებით ყოველწლიურ 7 მილიარდ ხარკ-  
თან? თქმა არ უნდა, რომ ჩვენში ვაჭრობა უფრო ცუდ ფეხ-  
ზეა დაყენებული, ვიდრე საფრანგეთში, და თამამად შეიძლე-  
ბა ითქვას, რომ ჩვენი ხალხი შედარებით მეტ ხარკს აძლევს  
ვაჭრებს, ვიდრე საფრანგეთი

სიძვირემ აიძულა მომხმარებლები შეერთებულიყვნენ,  
თავიანთი საზოგადოებანი დაეარსებინათ, პირდაპირ მექარხნი-  
სა, ან ეყიდნათ საქონელი და ხელ მისაწვდომ ფასად მიეცათ  
თავის წევრებისთვის. სიძვირის გარდა მეორე მიზეზიც არის.  
ეს არის საქონლის უფარგისობა. წვრილი ვაჭარი იშვიათად გაპ-  
ყრდის საქონელს ისე, რომ შიგ სხვა რამე ნივთი (სუროგატი)  
არ გაუროს. ხოლო რა ცუდი გავლენა აქვს ასეთ საქონელს  
აღამიანის სხეულზე, ამას ყველა კარგად მიხვდება.

ყოველ მომხმარებელ საზოგადოებას მხოლოდ მაშინ აქვს  
ფართო მნიშვნელობა, როცა მასში ყველას შეუძლია წევრად  
შესვლა. მრავალი მომხმარებელი საზოგადოება ისეა დღეს  
მოწყობილი, რომ ხელმოკლე კაცს ის ვერას არაგებს: პაის  
ფასი დიდია, მისი ნაწილი-ნაწილად შეტანა არ შეიძლება. თი-  
თო პაი, რაც შეიძლება, ცოტა უნდა ღირდეს, ხოლო რაც  
შეეგება მის ნაწილ-ნაწილად გადახდას, ყველას ისევე ინგლისური  
სისტემა სჯობია, რომელიც შემდეგში მდგომარეობას: ყოველ  
წევრს ერთხანად შეაქვს 40—50 კაპ., დანარჩენი შეაქვს ან  
ნაწილ-ნაწილად, ან სულ არ შეაქვს; სამაგიეროდ ის დივი-  
დენდი, რომელიც მას ერგება, საზოგადოებას რჩება და წევ-  
რის პაის ანგარიშში ირიცხება. ჩვენში კი ხშირად პაი 20 და  
25 მანეთი ღირს, რის გამო მუშა ხალხისთვის წევრობა და  
იაფ-ფასიანი საქონლით სარგებლობა შეუძლებელი ხდება. ამით  
აიხსნება ის მოვლენა რუსეთში, რომ მომხმარებელ საზოგადო-  
ებაში ძალიან ცოტა მუშა იღებს მონაწილეობას. გარდა ამისა,  
საზოგადოების ყველა წევრები თანასწორნი უნდა იყვნენ და

პის რაოდენობის მიხედვით ზედმეტი ხმა არაის არ უნდა ჰქონდეს. როცა წვერს პაების კვალობაზე ეძლევა ხმა, მაშინ მომხმარებელი საზოგადოება უფრო სააკციონერო კამპანიას ემსგავსება. ასეთ სისტემის მოხერხებით შეიძლება მთელი საზოგადოება ორიოდ მდიდარ წვერის საკუთრება გახდეს. ესეც რომ არ იყოს, ასეთი სისტემა ღარიბ წვერთა შორის უკმაყოფილებას და გულგრილობას ჰბადებს, რასაც ხშირად საზოგადოების დაშლა და დაღუპვა მოსდევს ხოლმე შედეგად. ზემოხსენებული სისტემა მდიდრებისთვის ხელსაყრელია. წვერები საკონტინენტს ფასს უმატებენ, რადგან ამით მაღალის მერტი შემოსავალი აქვს და, მაშასადამე, მდიდრებსაც მერტი დივიდენდი ეძლევათ. თუ საზოგადოება, კარგ შემოსავლის წყაროთ გადაიქცა, მდიდარი წვერები ახალ წვერებს აღარ აღებენ, საზოგადოებას ხელში იგდებენ და მომხმარებელი საზოგადოება მათი გამდიდრების წყაროდ ხდება. ასეთი ამბების თავიდან ასაცდენად საჭიროა დაწესდეს, რომ თითო წვერს 10-15 და 20 პაზე მერტი არ ჰქონდეს. ასეთი წესი ევროპაში დიდი ხანა შემოიღეს.

გარდა ამისა აუცილებლად საჭიროა წმინდა შემოსავალი ასე განაწილდეს: პაებისა და სთადარიგო თანხის პროცენტებს გარდა დანარჩენი შემოსავალი პაების რაოდენობის მიხედვით კი არ უნდა განაწილდეს, არამედ იმის მიხედვით, თუ რომელ წვერს რამდენი საკონტინელი წაუღია. ვისაც მერტი საკონტინელი წაუღია, იმას მერტი უნდა მიეცეს, ვისაც ნაკლები, ნაკლები.

საზოგადოების შემოსავალი დამოკიდებულია საკონტინელის ფასზე. საკონტინელის გაყიდვა შეიძლება ორის სისტემით: ან საკონტინელს იმ ფასში ჰყიდონ, რამდენიც ფაბრიკაში ღირს, და უმატებენ მხოლოდ იმ ფასს, რაც ინარჩუნება სადგომზე, მსახურებზე და ს., ან საშუალო ბაზრის ფასად ჰყიდონ. პირველი სისტემა მეტად სახიფათოა. ჯერ ერთი, — ეკრძა ვაჭრები ასეთ საზოგადოების დაუძინებელი მტრები ხდებიან და ხშირად ზარალს აყენებენ; მეორე, — სახიფათოა იმ მხრით, რომ შეიძლება საზოგადოებამ წააგოს, და მესამე, — შეუძლებელი ხდება შავ დღისთვის რისამე გადადება, ეს კი უშუალოდ სახეში უნდა ჰქონდეს ყოველ მომხმარებელ საზოგადოებას. მეორე სისტემა იმით სჯობია პირველს, რომ დანარჩენ ვაჭრებს ფასს აკლებინებს და თვითონ საზოგადოებასაც საშუალება ეძლევა საქმის გაფართოვებისა და გადიდებისა.

მსურველს საკონტინელი უნდა მოეცეს ნაღდ ფულზე, ნი-სიად საკონტინელს მიცემა ძალიან სახიფათოა. მომხმარებელი საზოგადოებანი უმეტეს ნაწილად იმითომ იღუბებიან, რომ ნისიად აძლევენ და ფულს ვეღარ ღებულობენ. თვითონ საზოგადოებაც უნდა ფიქროს ნისიად საკონტინელს იყიდვას. მეფაბრიკე დიდ პროცენტს უკლებს იმას, ვინც მაშინვე უსწორდება. თუ საზოგადოებას ნაღდი ფული არა აქვს, ისეც ის სჯობია, რომ სარგებლით ისესხოს და საკონტინელი ნაღდ ფულზე იყიდოს, ვიდრე ის, რომ მეფაბრიკის ვალი დაიდოს, რომელსაც ძალიან დიდი სარგებელი მოსდევს ხოლმე თან.

პირველი თანხა გროვდება პაების გაყიდვით. მაგრამ ნაწილ-ნაწილად ფულის აკრეფა დიდ თანხას ვერ შეადგენს და საქმეც ძალიან გაქიანურდება. ამისთვის სხვა გზაც არის. რამდენიმე კაცი საზოგადოებას აარსებს, ხვედრი ფულიც შეაქვთ და მერე მსხვილ ვაჭრებთან პირობას სდებენ საკონტინელს გაყიდვას შესახებ ფასდაკლებით, საიდანაც ზოგჯერ კარგად დიდი თანხა სდგება. მოსკოვის საზოგადოებამ ერთ წელიწადში ამ გზით 3000 მანეთი მიიღო. მაგრამ ასეთი ხერხი მხოლოდ დიდ ქალაქებში გამოადგება, სოფლებსა და პატარა ქალაქებში კი ასეთ სისტემის განხორციელება ვერ მოხერხდება. აქ უმჯობესია, საზოგადოება თან და თანობითის ზრდის გზას დაადგეს. ეს გზა უფრო ნაყოფიერია, საზოგადოება უფრო მკვიდრ ნობლას იკეთებს, გამოცდილებას იძენს და სხ. ასეთ ახალ საზოგადოებას ის ურჩევნია, რომ პირველად მხოლოდ ისეთი საკონტინელი დაიწყოს ვაჭრობა, რომელიც დიდი ხნის შენახვით არ ფუქდება.

საზოგადოების საქმეს განაგებს ან საზოგადო კრება, ან რწმუნებულთა კრება. რწმუნებულთა არჩევა მაშინ არის საჭირო, თუ საზოგადოებას მრავალი წვერი ჰყავს. რწმუნებულთა მინდობილი აქვთ უმთავრესი საქმე, დანარჩენს განაგებს გამგეობა, რომელსაც საზოგადო კრება ირჩევს. გამგეობის წევრებს ან ჯამაგირი ეძლევათ, ან შემოსავლის პროცენტი, ჯამაგირს ისევე პროცენტი სჯობია, რადგან ისინი ამ შემთხვევაში უფრო დაინტერესებულნი არიან და მეტ მხნეობას იჩენენ, საზოგადო კრება წელიწადში 1-2-ჯერ მინიმუმ უნდა მოხდეს და, თუ შეიძლება, მეტჯერაც.

ესლა თვალის გადაივლოთ ევროპაში არსებულ მომხმარებელ საზოგადოებებს, რომელნიც კარგ მაგალითს წარმოადგენენ ჩვენთვის. 1844 წელს ინგლისში, მანჩესტერის მახლობლად, ფაბრიკის მუშებმა დაარსეს, ესრედ წოდებული როჩელდის პირველი მომხმარებელი საზოგადოება, რომელსაც პირველ ხანად მხოლოდ 230 მანეთი ჰქონდა. 1891 წელს საზოგადოების თანხა უდრიდა 3 1/2 მილიონ მანეთს, წმინდა შემოსავალი 500,000 მანეთს. საზოგადოება იმდენად გაფართოვდა და იმდენი შემოსავალი ჰქონდა, რომ თავისუფალი თანხა—ასი ათასი მანეთი—საკონტინერო კამპანიებში შეიტანა, ამ საზოგადოებამ თავის არსებობის განმავლობაში წვერებს 12 მილიონი მოგება დაუბრუნა და აუარებელი ფული დახარჯა განათლების საქმეზე მარტო 1887 წელს საზოგადოებამ განათლების საქმეზე 200,000 მანეთი გადასდო. 1867 წელს ამ საზოგადოებამ 140,000 მანეთი დახარჯა ერთ მაღალის აშენებაზე. გარდა ამისა ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში 24 მაღალია გახსნა და ცეცხლისაგან დამსუფივე საზოგადოებაც დაარსა. ყოველ წლიურ შემოსავლის 2 1/2% განათლებაზე ინარჩუნება. მარტო ერთ სკოლაში 450 მოწაფე სწავლობს, ბიბლიოთეკა 17,000 ტომს შეიცავს. დიდ ბიბლიოთეკის გარდა საზოგადოებამ გახსნა 19 სამკითხველო, სადაც ყოველ გვარი ჟურნალ-გაზეთი მოაპოვება. საზოგადოება ხშირად მართავს თავის წვერებისთვის საცეცავო საღამოებს, სეირნობას, ექსკურსიებს, წარმოადგენებს და პროფესორებს იწვევს ლექციების წასაკითხად. 1892 წელს ითვლებოდა 1500 მომხმარებელი საზოგადოება, რომელთაც 1,100,000 წევრა ჰყავდათ, მაგრამ თუ წვერების რიცხვს მათს ოჯახებსაც მივუხედავთ, წევრთა რიცხვი ინგლისის მტკიცებობა 20,9% მდის ავა. ზოგ ადგილას, მაგალითად, იორკშირში, ეს რიცხვი 32% მდის ადის, ლურემში 44, 7% მდის. ინგლისსა ყველა მომხმარებელ საზოგადოებებში დაბანდულია 115 მილიონი მანეთი; 1891 წელს ყველა საზოგადოებამ 315 მილ. მანეთის საკონტინელი გაჰყიდა, წმინდა შემოსავალი მიიღეს 43 მილიონი მანეთი.

გერმანიაში ინგლისზე უკეთ არის მოწყობილი მომხმარებელ საზოგადოებები, საქმე. 1894 წელს გერმანიაში არსებობდა 1412 მომხმარებელი საზოგადოება. აქედან 417 საზოგადოებას ჰყოლია 268,380 წევრი; მათი ანახა უდრიდა 16,959,314 მანეთს; ერთი წლის განმავლობაში გაუყიდნიათ 77,669,145 მარკად ღირებული საკონტინელი; წმინდა შემოსავალი ღირებნით 7,506,921 მარკა.

ინგლისის და გერმანიის მომხმარებელი საზოგადოებები სწორედ ისე არიან მოწყობილი, როგორც ჩვენ აღწერეთ წერილის დასაწყისში: ყველა წვერი თანასწორია, პაების რაოდენობა თითო წვერს შეზღუდული აქვს, მოგება ნაწილდება გატანილ საკონტინელს ღირებულობის რაოდენობის მიხედვით და სხ.

დანარჩენ ქვეყნებშიაც დიდად გავრცელებულია მომხმარებელი საზოგადოებანი და მათი ზრდა და განვითარება შეუჩერებლად წინ მიდის.

გ ა მ შ ხ ა ხ დ ი ლ ი

ბნელი ღამე იყო. თოვლით შესულარულ ბუნებას, თითქო ძილი, მოსვენება სწყუროდა, მაგრამ მშინვარე ქართა ქოლღით შეძრწუნებული, ჰკენესოდა, კატის კნუტავით კნაოდა. ცა შავი ღრუბლებით სამგლოვიაროდ შემოსილიყო. დატვირ-

6. ტ.

თული ხეები აქეთ-იქით ზარმაცად ექანებოდა. ბუჩქებს თოვლ-  
ში თავი შეეფარათ და თრთოდნენ, ცახცახებდნენ. მდინარეც,  
თავის გამწვანე განრისხებული, შხული ლულით მოიკლავდა  
ბოდა და მძვინვარე ლომივით დმუოდა მოაგორებდა მთის  
ოდენა ყინულებს, ეჯახებოდა ნაპირებს, თითქო უნდაო შე-  
ზღუდული კალაპოტი დაამსხვრიოს, გამოვიდეს ნაპირებიდან,  
მოედოს ცოდვილ ქვეყანას და რაც რამ წინ შეხვდება კაცო-  
ბრიობისათვის მივინ, ბოროტი—წალეკოს, გაანადგუროს..  
მაგრამ გაყინული ნაპირები მიუკარებელი იყო; ყინული იზრ-  
დებოდა, კალაპოტი იზღუდებოდა, მაშინ ის, საზარელის  
შხულით, გულიდან ამოიგლეჯდა გაყინულს სუსხს და ისე-  
დაც სასიკვდილოდ განწირულ ბუნებას სტყორცნიდა. ბუნება  
კენესოდა, ძრწოდა, იტანჯებოდა..

ასრით სულდგმული არა სჩანდა. თითქო ამ ღამეს ყვე-  
ლას დედამიწა გაეთხაროთ და იქ ეპოვოთ თავშესაფარი.. ეს  
ქვეყანა-კი ბოროტა და მავნე სულთათვის დაეთმოთ. ხან  
გამოშვებით შეციებული ძაღლის ყმული შეუერთდებოდა ამ  
ჯოჯოხეთურ ხმებს და ჰაერში გლოვის ზარივით, გულსაკლა-  
ვად გაიზუზუნებდა.

მდინარის ნაპირას, პატარა გორაკზე წამოსკუპული იყო  
ქოხი, რომელიც უფრო მხეტია ბუნავსა ჰგავდა, ვიდრე ადა-  
მიანთა სადგომს. ქარის ყოველ ქროლავზე კედლებს ქრიქინი  
გაჰქონდა, ჩაღის სახურავი ნახევარზე აგლეჯილიყო და შიგ  
თოვლი სცივოდა.

მოხუცი ელენე და მისი ქალი მარო, გატრუნებულნი  
შუა ცეცხლს მისხდამოდნენ და სიცივისაგან კანკალებდნენ.

დაწოლის წინ მაროს შავი თმები გაეშალა და მხრებზე  
გადმოეყარა. წითელი, პატარა ტუჩები კეკლუცად და ნაღ-  
ლიანად მოექცა. ცეცხლისაგან ანთებულ ლოყაზე ცალი  
ხელი შორიდან აეფარებინა, მალალი, თეთრი კისერი ირემი-  
ვით მოედერებინა და დიდრონი შავი თვალებით ცეცხლს და-  
სწერებოდა. ელენე საცოდავად მოკრუნჩხულიყო. თავი მუხ-  
ლებ შუა ჩაედო, ხელები ფეხებზე შემოეხვია და მიმქრალი,  
უსიცოცხლო თვალებით ნაცარს დასტკეროდა. ცეცხლის სი-  
ნათლე ზარმაცად ეფინებოდა მის დაღარულ სახეს და ჯერედ  
შეუმშრალ კრემლებს აბრწყინებდა. ორივე დედაშვილი, თი-  
თქო ქანდაკებააო, სულ განაბულნი უძრავად ისხდნენ.

ქარმა გაიზუზუნა. აგლეჯილი სახურავიდან ქოხში თოვლი  
შემოსტყორცნა და კერას დაეყარა. გაისმა შიშინი და ცო-  
ცხალ ადამიანთა ღია სამარე წყევლიადა მოიკვა.

— რა დაწყველილი ღამეა, ღმერთო! სთქვა მარომ და  
შიშით უკან მოიხედა.

— ვაიმე, შვილო დომენტი.. ამ ღამეში გარედ თუ ხარ  
ამოიკენსა ელენემ და კაბის კალთით ცრემლები მოიწმინდა.

— რავე ბაღანასავით ჩივი, ნენავ!.. გარედ იქნება, აბა  
სახლი? უსაყვედურა მარომ.

— იქნება ოზურგეთში ჩვეიდა... აბა, ამისთანა ღამეში  
ცავე, ნასაკირალზე ვინ გამეიარს?!

— ოზურგეთში თუ ჩვეიდა და დუქანში იქეიფა, კაი სა-  
ქმესაც გააკეთებს... შენ გგონია ყაზახებს ძალიანი ეშინიათ  
თოვლის და სიცივის..

— სიყარაულოში ცეცხლს მიინც დეინთებდეს.

— ჰო და საყარაულოში თუ ცეცხლი დეინთეს და ხსან-  
ბეგურათ შემოსახეს, მიავნებენ ყაზახები და ქე ამოსწყვეტენ  
ყველას, გაჯავრებული სთქვა მარომ და მუგუზხალს ფეხი წა-  
ჭკრა.

— რას ჯავრობ, ცავე! ალაფერს მათქმებ?!.. ელენემ  
გულსაკლავად ამოიკენსა და თავი ნაღვლიანად გაიქნია.

— არ დაწოხი აწი? ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მარომ.  
— რა ოხრობა დამძინებს, ცავე?.. ვაიმე, შვილო! კი-  
დევე ამოიოხრა ელენემ. შენ კარში იყინები და მე ქვე ვარ  
აქანაი თბილად..

— ნეტაი ბაღანაი არ იყო, ნენავ! რას გოუკეთებ დო-  
მენტის ტირილით და უძილობით?.. სანამდის გინდა ასე იჯდე?

— კაია, ოჯო, ნუ მიწყობი. არც მე მინდა ვიტირო, მარა  
ჩემდა უნებურად მოდის ეს ოხერი ცრემლი.. რაცხა  
გული მიკენსის მე უბედურს..

— კი ახლა, ადექი და დაწექი. — გაუჯავრდა მარო.

— დაწოხი, ოჯო, დაწოხი... მარა ჯერ შენ დაწვი,  
ნენავ, — პაწაი ლოგინი გამითბე თვარა სულ გვეციენები.

წუწუნით დაეორჩილა ელენე. მარომ მუგუზხალი წას-  
წია და შეუბერა. ალი ავარდა და ქოხი გაანათა. მივიდა გად-  
მოფერთხა ლოგინიდან თოვლი, გადაიწერა პირჯვარი და  
გაუხდელი შეწვა.

ქარმა დაიქრიალა.

შეშინებული მარო ლოგინზე წამოჯდა.

— ნენავ... რა ამბავია?

გარედან ლაპარაკი ისმოდა.

ელენემ სული განაბა და კარს მიაჩერდა.

— დომენტი ხარ? ძლივს გაბედა დამახება ელენემ. პა-  
სუხი არ იყო. კარს გარედან მედგრად აწვებოდნენ. მაროს  
შეშინავან ხმა ჩაუწყდა და აცხცახდა, მაგრამ მოიკრიბა ლო-  
ნე და დაიკვირა:

— ვინ ხარ?... მაგრამ ამ დროს გაისმა გრიალი და კა-  
რი ძირს ჩამოვარდა. ქოხში ორი ნაბღიანი კაცი შემოვიდნენ.  
თავ-პირი ჩაბალახებით ჰქონდათ დაბურული.

— დომენტი, რეიხა მომკალი, ნენავ?! წამოიძახა ელენემ  
და მისკენ გაექანა, მაგრამ უცნობებმა ჩაბალახი გადაიწიეს და  
ზარდაცემული დედა იქვე გაშეშდა. დომენტის მხალოდ ჩაბა-  
ლახი და ნაბაღი ეხურა ერთს და ისიც სისხლში მოსვრილი.

ელენემ გულსაკლავად დაიგმინა, მივარდა მაროს, ჩაიკრა  
გულში და ორივე დედაშვილმა ტირილი მორთეს.

უცნობებმა ქოხში ყველაფერი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერა-  
ფერი იარაღი იპოვეს. მაროს დანახვაზე ორივეს თვალები ბო-  
როტის ცეცხლით აენთო და ერთმანეთს გადახედეს.

**გ შალაკაშვილი.**

(დასასრული იქნება)

რედაქტორი **ფ. გოგიაიშვილი**  
გამომცემელი **თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.**

**ქართული წარმოდგენა ღმერთს.**

სახსრინო თეატრში.

კვირას, 12 მარტს 1906 წელს ქართულ დრამატიულ  
საზოგადოების დასის მიერ.

**გლ. ალექსი-მესხიშვილის საბუნებისმეტყველო.**

წარმოდგენილი იქნება.

**შამოქაძის ალბილი**

კომ. 5 მოქ. ოსტრი ვსკისა, თარ. 5. ცავარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცავარლისა, ა  
კარგარეთელი, ლევადა, მდივანი ბ.ბ. აბაშიძე, ალექს  
მესხიშვილი, გუნია, დადიანი, შალიკაშვილი, ურუშაძე,  
ჩარკვიანი, მუმლაძე, ჟივიძე, ცხინვალიელი.

**დასაწყისი დღისათვის I საათისკენ.**

აღიღების ფასი დრამატურულია.

**შგარდების თქ** ის განსაკუთრებით III და IV იარუსი ბალკონისა  
მზადდება წარმოსადგენად: „ნარკვედა მერცხალი“

რეჟისორი **გ. ალექსი-მესხიშვილი.** აღმინისტრატორი **გ. გუნია.**